პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 246 (5047) | ოთხშაბათი, 27 ოქტომბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

სოფლის კულტურული ძალები და არჩევნები (მოწინავე)
პროლეტარული დიქტატურის სამი წელი (ამხანაგ სტალინის მოხსენება ბაქოს საბჭოს 7 ნოემბრის სხდომაზე) (მე-2 გვ.)
ღრმად შევისწავლოთ საარჩევნო კანონის თვითეული მუხლი (მე-3 გვ.)
საბჭოთა გლეხობა ემზადება არჩევნებისათვის („პრავდის" მოწინავე. მე-3 გვ.)
აკადემიკოს ი. ა. კაბლუკოვის დაჯილდოება (1-ლი გვ.)
საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მეორე პლენუმი (1-ლი გვ.)
აპ. ნუცუბიძე—საით მივყევართ აგროსორებისადმი წაყრუებას (მე-4 გვ.)
ნებრინის დეპეშა პროფესორ ი. ბერიტაშვილს (მე-4 გვ.)
ეკვადორის პრეზიდენტის ჩამოგდება (მე-4 გვ.)
ფასების ზრდა ფაშისტურ გერმანიაში (მე-4 გვ.)
მასობრივი თვითმკვლელობა ფაშისტურ გერმანიაში (მე-4 გვ.)

## სოფლის კულტურული ძალები და არჩევნები

**სოციალიზმის** ბედნიერ ქვეყანაში არაჩვეულებრივი აქტივობითა და ენტუზიაზმით გაიშალა საარჩევნო კამპანია. მშრომელთა უფართოესი მასები ჩაებნენ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში. დიადი საბჭოეთის თვალუწვდენ ტერიტორიაზე მოფენილი ქარხნების, ფაბრიკების, რკინიგზების, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მუშები და მოსამსახურეები—ყველანი დაინტერესებული არიან და ცდილობენ უზენაეს საბჭოში წარგზავნონ ლენინ-სტალინის პარტიის, სოციალიზმის გამარჯვებათა ამ ორგანიზატორის, უსაზღვროდ ერთგული და თავდადებული, ყოველმხრივ შემოწმებული, საბჭოთა მოწინავე ადამიანები.

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ყველა მოქალაქე უკლებლივ გამოცხადდება თავის საარჩევნო უბანში, მივა საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემს იმას, ვინც კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის თავისი უანგარო და შემოქმედებითი შრომით ლენინ-სტალინის პარტიისა და მშრომელთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციები დაუღალავად ემზადებიან 12 დეკემბრისათვის — არჩევნების დღისათვის. ჩვენმა მშრომელებმა უმაგალითო რევოლუციური ენტუზიაზმით უკვე წამოაყენეს თავისი პირველი კანდიდატები—ამხანაგი სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი: მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ეჟოვი, ბერია და ბლიუხერი.

კაცობრიობის მრავალსაუკუნიან ისტორიას არ ახსოვს მშრომელი მასების ასეთი დიდი აქტივობა. ისტორიამ არ იცის ისე სრულქმნილი, ბოლომდე დემოკრატიული და სრულიად უნაკლო საარჩევნო კანონი, როგორიც არის ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტის, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე შედგენილი დებულება უზენაესი საბჭოს არჩევნებისა.

ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი საფუძვლიანად და განსაკუთრებით გულმოდგინეთ უნდა შეისწავლოს უკლებლივ ყველა მშრომელმა, ყველა ამომრჩეველმა, რათა შესაძლებელი გახდეს სოციალისტური ქვეყნის უზენაესი საბჭოს არჩევნებში ყველამ შეგნებული და აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

სოციალისტური ქალაქის დახმარებითა და ხელმძღვანელობით საბჭოთა სოფელი ენერგიულად ემზადება არჩევნებისათვის. საკოლმეურნეო მინდვრებზე, პლანტაციებზე მუშაობის თუ დასვენების დროს, კლუბებსა თუ სამკითხველოებში სოფლის მშრომელნი ხალისით სწავლობენ საარჩევნო კანონს. მათ სურთ ყველაფერი გაიგონ, ყველაფერი იცოდნენ, რათა არჩევნების დროს შესძლონ საკადრისი პასუხი გასცენ ხალხის ყველა მტერს, სოციალიზმის დუშმანსა და ორგულს.

მაგრამ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე როდი არის. ჯერ კიდევ ყველა ამომრჩეველი არ არის უკლებლივ ჩაბმული საარჩევნო კანონის შემსწავლელ წრეებში, ჯერ კიდევ ვერ ვაკმაყოფილებთ ამ მხრივ ამომრჩეველთა უაღრესად გაზრდილ მოთხოვნილებებს, სათანადოდ არ არის გაშლილი საარჩევნო კანონის პროპაგანდა და აგიტაცია.

რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება? კადრების უყოლობით ამის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ჩვენ საუკეთესო და საკმაო რაოდენობის კადრები გვყავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ სათანადოდ ვერ ვიყენებთ. განა უდიდესი საქმის გაკეთება არ შეუძლია საბჭოთა სკოლის, კლუბების, ქოხ-სამკითხველოების და საკოლმეურნეო სოფლის სხვა კულტურულ დაწესებულებათა მუშაკების მრავალრიცხოვან არმიას? ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა ენერგიულად მოჰკიდონ ხელი სოფლის კულტურული ძალების დარაზმვას საარჩევნო კამპანიის უნაკლოდ ჩასატარებლად.

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც ამჟამად საკოლმეურნეო სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის წინაშეა დასმული—ეს არის უზენაესი საბჭოს მოახლოვებული არჩევნებისათვის ყოველმხრივ მომზადებული შეხვედრა.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საკოლმეურნეო სოფლის მთელი აქტივის: მოწინავე კოლმეურნეების, ბრიგადირების, მასწავლებლების, აგრონომების, ექიმებისა და სხვ. ამოქმედებით სოფლის კულტურულ დაწესებულებებს შეუძლიათ „დებულების" შესწავლა—პროპაგანდის ფართოდ გაშლა და ყველა მშრომელის კიდევ უფრო შეგნებულად დარაზმვა მომავალი არჩევნებისათვის.

საბჭოთა სოფლის ყველა კულტურული დაწესებულება, სოციალისტური კულტურის ფრონტის ყველა მუშაკი რევოლუციური შეტევითი სიფხიზლის კიდევ უფრო გამახვილებით, სტალინური კონსტიტუციისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების დაუღალავი აგიტაცია-პროპაგანდით უნდა ცდილობდეს საარჩევნო ყუთის სიახლოვეს არ გააჭაჭანოს პარტიისა და ხალხის მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრები, რომელნიც ამაოდ ცდილობენ შეაფერხონ სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა.

რკპ (ბ) VIII ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც ლენინის მიერ არის დაწერილი, ნათქვამია: „მასწავლებლები ვალდებული არიან თავისთავს უყურონ არა როგორც მარტო ზოგადი, არამედ კომუნისტური განათლების აგენტებს".

ამ საპატიო და პასუხსაგებ ამოცანას საბჭოთა მასწავლებლობა და კულტურის ფრონტის მუშაკთა ძირითადი მასა ყოველთვის პირნათლად და უანგაროდ ასრულებდა. მაგრამ მიმდინარე ეტაპზე, როცა ფართოდ გაიშალა საარჩევნო კამპანია, ეს საკითხი განსაკუთრებული აქტუალობით დგას მათ წინაშე.

საქართველოში მარტო განსახკომის სისტემაში 4223 სკოლა და 26 ათასამდე მასწავლებელი მუშაობს. თუ ამას მივუმატებთ კიდევ სხვა ორგანიზაციების სკოლებს, აგრონომიულ, საექიმო დაწესებულებებს, კლუბებს, ქოხ-სამკითხველოებსა და წითელ კუთხეებს, ჩვენ მივიღებთ უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებისა და სტალინური კონსტიტუციის პროპაგანდისტთა ძლიერ არმიას. ისინი პირნათლად შეასრულებენ საარჩევნო კამპანიით მათზე დაკისრებულ ამოცანას, თუ კი მათ სათანადოდ უხელმძღვანელებენ, დაეხმარებიან პირველ რიგში განსახკომი და რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

მაგრამ მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა, მათი ჩაბმა იმ დიდ შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ფართოდ არის გაშლილი, ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

საბჭოთა სოფლის კულტურული დაწესებულებანი ჯეროვნად ვერ ამზადებენ ხალხს მოახლოვებული არჩევნებისათვის. მაგალითისათვის დავასახელებთ ცხაკაიას რაიონის სოფ. ზანის, ფოცხოს და შხეფის ქოხ-სამკითხველოებს, სადაც უკანასკნელ დრომდე არ იყო ჩამოყალიბებული სტალინური კონსტიტუციისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეები. ასევე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სამხრეთ-ოსეთსა, აფხაზეთსა, ბაღდათსა და საქართველოს ბევრ სხვა რაიონში.

ეს ხდება იმიტომ, რომ როგორც განსახკომი, ისე სარაიონო პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საარჩევნო კამპანიაში სოფლის კულტურულ დაწესებულებათა ჩაბმას, ჩამორჩენილთათვის დახმარების გაწევას, მოწინავეთა წახალისებას.

ეს კი მაშინ, როცა სოფლის კულტურულ დაწესებულებებში მრავალი მოწინავეა. ამის მაგალითს იძლევა, თუ გნებავთ, სოფ. ლესის (ლანჩხუთის რაიონი) სასოფლო კლუბის (გამგე ლიდა პატარაია) მისაბაძი მუშაობა. ამ კლუბს სანიმუშოდ აქვს დაყენებული სტალინური კონსტიტუციისა და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა. კლუბის მიერ სოფლად და თვით კლუბთან ჩამოყალიბებული „დებულების" შემსწავლელი წრეები ნაყოფიერად მუშაობენ. ხშირად ეწყობა ხმა-მაღალი კითხვა, საუბრები, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, იმართება კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ. მოწინავეთა რიგებში დგანან აგრეთვე ორსანტიის, შემოქმედის, ცხემლისხიდის, ასკანის, ტყვიავის, ბარალეთის, ცოდნის-კარის და სხვ. სასოფლო კლუბები და ქოხ-სამკითხველოები.

საჭიროა მხოლოდ ვუხელმძღვანელოთ, მოწინავეთა გამოცდილება სწრაფად და ფართოდ გავაცნოთ ყველას, დავეხმაროთ, რათა დროზე და აქტიურად ჩაებან სოფლის კულტურული დაწესებულებანი იმ უდიდეს პოლიტიკურ კამპანიაში, რომლის უნაკლოდ ჩატარებისათვის უნდა მუშაობდეს და იბრძოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანი მშრომელი, ყველა დაწესებულება.

## ვოროშილოვგრადელთა დეპეშა ამხანაგ სტალინს

**ვოროშილოვგრადი,** 25 სექტემბერი (საქდესი). ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხნის კოლექტივმა მისასალმებელი დეპეშით მიმართა ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

„უდიდესი სიხარულის გრძნობით შევხვდით ჩვენ ცნობას,—სწერენ ვოროშილოვგრადელები,—რომ ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის მუშებმა და მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა წამოაყენეს თქვენი კანდიდატურა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატად. დღეს, შევიკრიბენით რა საერთო-საქარხნო კრებაზე ჩვენი კანდიდატის წამოსაყენებლად კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე, ჩვენ, ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხნის (ქალაქი ვოროშილოვგრადი) მუშები, მუშა-ქალები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები ჩვენი 25-ათასიანი კოლექტივის ხმას ვუერთებთ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ხმას, მთელი ხალხის ხმას.

ჩვენ მოხარული ვართ გაცნობოთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ დღეს, საერთო-საქარხნო კრებაზე ერთსულოვნად გადავწყვიტეთ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ თქვენი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ჩვენი საყვარელი თანამემამულე კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

ჩვენ სიტყვას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, წავალთ საარჩევნო ყუთებისაკენ და ხმას მივცემთ ჩვენი დიდი სამშობლოს უერთგულეს შვილებს, იმათ, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის გრძნობებსა და ფიქრებს ახმარდა და ახმარს ლენინის საქმეს, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საქმეს.

გაუმარჯოს ბოლშევიკთა ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ მშრომელთა მილიონების სასიხარულოდ ჩვენო ბელადო, ჩვენო მასწავლებელო, ჩვენო მშობლიურო, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!".



**ამხ. პ. გ. მოსკატოვი**

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან). „სოიუზფოტო"

## ჩვენი კანდიდატია—სახელოვანი სტალინური შევარდენი მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვი

**მოსკოვი,** 25 ოქტომბერი (საქდესი). მოსკოვის მელენკოვის სახელობის არმატურის ქარხანაში 25 ოქტომბერს შეიკრიბა 700 მუშა, მოსამსახურე, ინჟინერი და ტექნიკოსი, რათა განიხილონ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურა.

პირველი სიტყვა მიიღო უპარტიო ინჟინერ-ტექნოლოგმა ამხ. კოჩეტკოვმა.

—წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ჩვენი ხალხის ღირსეული შვილი, სახელოვანი სტალინური შევარდენი, საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვი.

— გრომოვი, — სთქვა გამომსულმა ინჟინერმა ილიაშევიჩმა, — ეს საბჭოთა კავშირის სიამაყეა. ამხ. გრომოვის დიდება და სახელი — ჩვენი დიდება და სახელია. გრომოვი— ჩვენი სამშობლოს სიმამაცის, ძალის, ტალანტების განსახიერებაა.

კრებამ ერთხმად გადასწყვიტა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენოს საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვი მოსკოვის სარკინიგზო საარჩევნო ოლქიდან.

კრებამ მქუხარე ოვაციით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

## ამხ. ვიშინსკის კანდიდატურა

**მოსკოვი,** 25 ოქტომბერი (საქდესი). მოსკოვის თამბაქოს ფაბრიკის „იავას" ამომრჩევლებმა 25 ოქტომბერს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს სსრ კავშირის პროკურორი ამხანაგი ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი.

ამხანაგი ვიშინსკის კანდიდატურა დაასახელა საამქროს ოსტატმა ამხ. პასტუხოვამ, რომელიც 17 წელიწადია ფაბრიკაში მუშაობს. კრება თავის რეზოლუციაში სთხოვს ამხანაგ ვიშინსკის დათანხმდეს და კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე მოსკოვის ოქტომბრის საარჩევნო ოლქში ფაბრიკა „იავას" კოლექტივისაგან.

## ასახელებენ ამხ. კოსიორის კანდიდატურას

**დნეპროპეტროვსკი,** 25 ოქტომბერი (საქდესი). კალინინის სახელობის ქარხნის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ამხანაგი სტალინის თანამებრძოლი სტანისლავ ვიკენტის-ძე კოსიორი.

## კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

**ბათუმი,** 26 ოქტომბერი (საქდესი). 24 ოქტომბერს შესდგა კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენებები უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენებები გააკეთეს ბათუმის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მუსტაფა ჩახვაძემ, ჩოხატაურის რაიაღმასკომიდან ამხ. შ. უნგიაძემ და მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ცინცაძემ. კომისიამ დასახა ღონისძიებანი, რათა 28 ოქტომბრამდე დამთავრდეს საარჩევნო უბნებისათვის სახელის დარქმევა, დანომრვა, უბნების ცენტრების დაწესება, ყველა საარჩევნო უბნისათვის ბინების მიჩენა და მისი სათანადოდ მოწყობა.

9 ნოემბრამდე უნდა დამთავრდეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება და ალფაბეტის წესით დალაგება.

კომისიამ მისცა დაკვეთა საარჩევნო ყუთების გასაკეთებლად და შირმების შესაძენად. აგრეთვე შემოიღო კომისიის წევრთა მორიგეობა.

კომისიის სხდომაზე გამოირკვა, რომ ქალაქ ბათუმში ჩამოყალიბებულია საარჩევნო კანონის 700-მდე შემსწავლელი წრე, სადაც გაერთიანებულია 26 ათასამდე ამომრჩეველი. ჩოხატაურის რაიონში ჩამოყალიბებულია 215 წრე, 6.943 ამომრჩევლით, მახარაძის რაიონში — 902 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 25.779 ამომრჩეველი.

კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის საარჩევნო ოლქში მოწყობილია საარჩევნო უბნის სამი სანიმუშო ბინა. აქ არის ამომრჩეველთა დასასვენებელი ოთახი, კენჭის ყრისათვის ცალკე ოთახი და ბავშვთა ბაგა. ბინები გაფორმებულია ლოზუნგებით, დიაგრამებით და პლაკატებით.

კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა მოწვეულია 30 ოქტომბრისათვის. ამ სხდომაზე მოსმენილი იქნება ხულოს, ქედის, ბათუმის და ქობულეთის რაიონული საბჭოების ინფორმაციები, თუ როგორ მიმდინარეობს მათ რაიონებში ახალი საარჩევნო კანონის შესწავლა და არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა.

## ცნობები

**ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის—ორჯონიკიძის საოლქო საარჩევნო კომისიისაგან № 118.**

**ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის—ორჯონიკიძის საოლქო საარჩევნო კომისია № 118 მოთავსებულია ქ. თბილისში, ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს შენობაში, ლუნაჩარსკის ქ. № 2, მეორე შესასვლელი, პირველი სართული, ოთახები №№ 19 და 21.**

**ტელეფონი №№ 3—01—83.**

o

**კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის — კიროვის საოლქო საარჩევნო კომისია № 510 ა. წ. 26 ოქტომბრიდან გადავიდა ძველი ბინიდან და მოთავსებულია ჟელიაბოვის ქუჩაზე № 4, მეორე სართული.**

**ტელეფონები №№ 3—42—81 და 3—40—67.**

o

**ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის—სტალინის საოლქო საარჩევნო კომისია № 120 მოთავსებულია თბილისის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს შენობაში, პლეხანოვის პრ. № 150, მე-3 სართული. ტელეფონი: № 3—37—36.**

## ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, ჟდანოვის კანდიდატურებისათვის

**ვორონეჟი,** 25 ოქტომბერი (საქდესი). ვორონეჟის საქალაქო საარჩევნო ოლქის უდიდეს საწარმოებში ჩაიარა მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კრებებმა, რომლებზეც დაასახელეს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

მრავალათასიანი კრება შესდგა კომინტერნის სახელობის ქარხანაში. თუჯჩამომსხმელი საამქროს ოსტატმა ამხ. გერასიმოვმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ხალხთა საყვარელი ბელადი—ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მის წინადადებას კრება შეხვდა ხანგრძლივი ოვაციით და მისალმების შეძახილებით საყვარელი ბელადის მიმართ. კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სთხოვს ამხანაგ სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კომინტერნის სახელობის ქარხნის კოლექტივისაგან.

ქარხანა „ელექტროსიგნალის" კოლექტივმა თავის კანდიდატად კავშირის საბჭოში დაასახელა ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლი—ამხ. მოლოტოვი.

კიროვის სახელობის სინთეტიკური კაუჩუკის ქარხანა—2-ში საერთო კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა ამხ. ჟდანოვი. ძერჟინსკის სახელობის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის მუშებმა თავის კანდიდატად კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ერთხმად დაასახელეს ამხ. ეჟოვი. გამომცემლობათა და სტამბების მუშაკებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამხ. მეხლისი.

## დადგენილება

### საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

### საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად ამხ. ს. გ. ხოშტარიას დამტკიცების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად.

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი: **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. 25 ოქტომბერი.

## დადგენილება

### საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრელებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

### საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრად ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრად.

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი: **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. 25 ოქტომბერი.

## დადგენილება

### საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

### საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან ამხ. ს. გ. ხოშტარიას განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლებულ იქნას ამხ. სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის ამსრულებელი: **ვ. ბუჯიაშვილი.**

1937 წ. 25 ოქტომბერი.



1937 წლის გაწვევის ახალგაზრდა მებრძოლები სწავლობენ დებულებას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

სურათზე: კურსანტი კომკავშირელი ცხოვრებოვი (დგას მარცხნივ გაზეთით ხელში) ახალგაზრდა მებრძოლებთან ატარებს საუბარს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ.

ფოტო სერედასი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

## საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მეორე პლენუმი

**სტალინირი,** 26 ოქტომბერი. (საქდესი). 25 ოქტომბერს შესდგა პარტიის სამხრეთ-ოსეთის ოლქკომის მეორე პლენუმი.

პლენუმმა პარტიის ოლქკომის პირველი მდივნის მოვალეობის ამსრულებლად ერთხმად აირჩია ამხ. გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი და მესამე მდივნის მოვალეობის ამსრულებლად ამხ. სერგი ივანეს-ძე სანაკოევი.

## აკადემიკოს ი. ა. კაბლუკოვის დაჯილდოება შრომის წითელი დროშის ორდენით

სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დაჯილდოებულ იქნას აკადემიკოსი ივანე ალექსის-ძე კაბლუკოვი შრომის წითელი დროშის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული დიქტატურის სამი წელი

# ამხანაგ სტალინის მოხსენება

## ბაქოს საბჭოს 7 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე



ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის.
სურათზე: ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი წითელგვარდიელებთან სმოლნში 1917 წელს.
ნახატი მხატვარ პ. ვასილიევისა. (ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი).

ფოტო „სოიუზფოტო"

### აკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან
### პარტიის ყველა წევრს, ბაქოს პროლეტარებს და აზერბაიჯანის მშრომელთ

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენთან ბაქოში ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი — მუშათა ბელადი განსაკუთრებული თავდადებისა, ენერგიისა და სიმტკიცისა, რევოლუციური ტაქტიკის ერთადერთი ნაცადი და ყველას მიერ აღიარებული მცოდნე და პროლეტარული რევოლუციის ბელადი კავკასიასა და აღმოსავლეთში.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, იცოდა რა ამხანაგ სტალინის თავმდაბლობა და ის, რომ მას არ უყვარს ოფიციალური საზეიმო შეხვედრები, იძულებული გახდა ხელი აეღო მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სპეციალური კრებების მოწყობაზე.

აკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საუკეთესო მისალმება, საუკეთესო შეხვედრა, რომელიც ჩვენს პარტიას, ბაქოს პროლეტარებს და აზერბაიჯანის მშრომელთ შეუძლიათ აღმოუჩინონ ჩვენს ძვირფას ბელადსა და მასწავლებელს, ეს იქნება მთელი ძალღონის ახალი და ახალი დაძაბვა პარტიული და საბჭოთა მუშაობის ყოველნაირად განმტკიცებისათვის.

ყველანი ჩავებათ ერთსულოვან, საბრძოლო მუშაობაში, რომელიც ღირსი იქნება ბაქოს პროლეტარული მებრძოლის — ამხანაგ სტალინისა, ბაქოს პროლეტარიატის პირველი ორგანიზატორისა და ბელადისა.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

(გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტში" 1920 წ. 4/XI-ს, № 155).

უეჭველია, რომ ძირითად საკითხს რუსეთის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობის სამი წლის მანძილზე წარმოადგენს რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი. იყო დრო, როდესაც საბჭოთა რუსეთს ვერ ამჩნევდნენ, მას ანგარიშს არ უწევდნენ, არ სცნობდნენ მას. ეს იყო პირველი პერიოდი, — რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებამდე. ამ პერიოდში დასავლეთის იმპერიალისტები, ორივე კოალიცია, ინგლისისა და გერმანიისა, ერთმანეთს შებმულნი, ვერ ამჩნევდნენ საბჭოთა რუსეთს, ასე ვთქვათ, არ ეცალათ მისთვის.

მეორე პერიოდია — პერიოდი გერმანიის იმპერიალიზმის განადგურებიდან და გერმანიის რევოლუციის დასაწყისიდან რუსეთზე დენიკინის ფართო შეტევის მომენტამდე, როდესაც იგი ტულის კართან იდგა. ეს პერიოდი იმით განირჩევა, რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით, რომ ანტანტამ — ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კოალიციამ, გაანადგურა რა გერმანია, მთელი თავისი თავისუფალი ძალები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მომართა. ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენ გვემუქრებოდნენ 14 სახელმწიფოს კავშირით, რომელიც შემდეგში მითური აღმოჩნდა.

მესამე პერიოდი — ეს ისაა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით, როდესაც ჩვენ არა მარტო გვამჩნევენ, როგორც სოციალისტურ სახელმწიფოს, არა მარტო გვცნობენ ფაქტიურად, არამედ კიდეც ეშინიათ ჩვენი.

### პირველი პერიოდი.

ამ სამი წლის წინათ, 1917 წლის 25 ოქტომბერს ანუ 7 ნოემბერს (ახალი სტილით) — ბოლშევიკთა, პეტროგრადის საბჭოს მოღვაწეთა — პატარა ჯგუფი შეიკრიბა და გადასწყვიტა შემორტყმოდა კერენსკის სასახლეს, ტყვედ წაეყვანა მისი უკვე გახრწნილი ჯარები და ძალაუფლება გადაეცა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობისათვის, რომელიც მაშინ შეიკრიბა.

იმ მომენტში ჩვენ ბევრნი გვიყურებდნენ, უკეთეს შემთხვევაში, როგორც უცნაურ ადამიანებს, უარეს შემთხვევაში კი — როგორც „გერმანიის იმპერიალიზმის აგენტებს".

საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით ამ პერიოდისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა საბჭოთა რუსეთის სრული მარტოობის პერიოდი.

არა მარტო ჩვენს ირგვლივ მყოფი ბურჟუაზიული სახელმწიფოები ექცეოდნენ რუსეთს მტრულად, არამედ ჩვენი სოციალისტი „ამხანაგებიც" კი დასავლეთში უნდობლად გვიყურებდნენ.

თუ მაშინ საბჭოთა რუსეთი მაინც დარჩა, როგორც სახელმწიფო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთის იმპერიალისტები გართული იყვნენ სერიოზული ბრძოლით ერთმანეთს შორის. მასთანვე, რუსეთში ბოლშევიკთა ექსპერიმენტს ისინი ირონიულად ეკიდებოდნენ: მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბოლშევიკები თავისი საკუთარი სიკვდილით მოკვდებიანო.

შინაგანი მდგომარეობის თვალსაზრისით ეს პერიოდი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც რუსეთში ძველი სამყაროს დანგრევის პერიოდი, როგორც ძველი ბურჟუაზიული ხელისუფლების მთელი აპარატის დანგრევის პერიოდი.

ჩვენ თეორიულად ვიცოდით, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს ძველი სახელმწიფო მანქანა და აამოქმედოს იგი. ეს ჩვენი თეორიული შენაძენი, რომელიც მარქსმა მოგვცა, მთლიანად დადასტურდა ფაქტებით, როდესაც ჩვენ შევხვდით ჩინოვნიკთა, მოსამსახურეთა და პროლეტარიატის ზედა ფენათა საბოტაჟის მთელ ხანას, სახელმწიფო ხელისუფლების სრული დეზორგანიზაციით აღსავსე ხანას.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს პირველი და უმთავრესი აპარატი, ძველი არმია და მისი გენერალიტეტი დანგრეულ იქნა. ეს ძვირად დაგვიჯდა. ამ დანგრევის შედეგად ჩვენ მოგვიხდა დროებით სრულებით უარმიოდ დავრჩენილიყავით და ხელი მოგვეწერნა ბრესტის ზავზე. მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, არავითარ სხვა გზას პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ისტორია ჩვენ არ გვაძლევდა.

შემდეგ დანგრეულ, დამსხვრეულ იქნა მეორე აპარატი, რომელიც ამდენადვე მნიშვნელოვანი იყო ბურჟუაზიის ხელში — ჩინოვნიკური აპარატი.

ქვეყნის სამეურნეო მართვის დარგში ყველაზე მეტად დამახასიათებელი — ეს იყო ის, რომ ბურჟუაზიას ხელიდან გამოვგლიჯეთ ბურჟუაზიის სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ნერვი — ბანკები. ბანკები ჩამოერთვა ბურჟუაზიას, და ეს უკანასკნელი დატოვებულ იქნა, ასე ვთქვათ, სულამოხდილი. შემდგომში სწარმოებს მუშაობა სამეურნეო ცხოვრების ძველი აპარატების დანგრევისათვის და ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია — მისთვის ფაბრიკებისა და ქარხნების ჩამორთმევა და მათი გადაცემა მუშათა კლასის ხელში; დასასრულ — სასურსათო საქმის ძველი აპარატების დანგრევა და ცდა აგვეგო ახალი აპარატები, რომლებსაც შეეძლებოდათ შეეგროვებინათ პური და გაენაწილებინათ იგი მოსახლეობაში. დასასრულ, დამფუძნებელი კრების ლიკვიდაცია. აი, დაახლოვებით, ყველა ის ზომები კაპიტალისტური სამყაროს ძველი აპარატების დანგრევისათვის, რომლებიც საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა გაეტარებინა ამ პერიოდში.

### მეორე პერიოდი.

მეორე პერიოდი იწყება იმ დროიდან, როდესაც ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის კოალიცია, დაამარცხა რა მან გერმანიის იმპერიალიზმი, შეუდგა საბჭოთა რუსეთთან ანგარიშის გასწორებას.

საერთაშორისო თვალსაზრისით ეს პერიოდი ხასიათდება, როგორც პერიოდი აშკარა ომისა ანტანტის ძალებსა და საბჭოთა რუსეთის ძალებს შორის. თუ პირველ პერიოდში ჩვენ ვერ გვამჩნევდნენ, დაგვცინოდნენ და აბუჩად გვიგდებდნენ, ამ პერიოდში, პირიქით, მთელი შავბნელი ძალები ამოძრავდნენ, რათა ბოლო მოეღოთ ეგრეთწოდებულ „ანარქიისათვის" რუსეთში, რომელიც გახრწნას უქადის მთელ კაპიტალისტურ სამყაროს.

შინაგან ურთიერთობათა თვალსაზრისით, ეს პერიოდი უნდა დავახასიათოთ, როგორც მშენებლობის პერიოდი, როგორც პერიოდი, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს ძველი აპარატების დანგრევა ძირითადად დამთავრდა და როდესაც დაიწყო მშენებლობის ახალი ხანა, როდესაც ეწყობა მეწარმეებისაგან ჩამორთმეული ფაბრიკები და ქარხნები, იქმნება ნამდვილი მუშათა კონტროლი, ხოლო შემდეგ კონტროლიდან პროლეტარიატი გადადის პირდაპირ მართვაზე, როდესაც დანგრეული სასურსათო აპარატის ნაცვლად შენდება ახალი, როდესაც დანგრეული სარკინიგზო აპარატის ნაცვლად ცენტრში და ადგილებზე იქმნება ახალი ორგანოები, ძველი არმიის ნაცვლად — ახალი.

უნდა აღვიაროთ, რომ მშენებლობა ამ პერიოდში საერთოდ მოიკოჭლებს, ვინაიდან ძირითადი აღმშენებლობითი ენერგია — ამ ენერგიის ცხრა მეათედი ნაწილი ხმარდება წითელი არმიის შექმნას. ვინაიდან ანტანტის ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საქმე ეხება საბჭოთა რუსეთის თვით არსებობას, არსებობის დაცვა კი ამ პერიოდში შესაძლებელი იყო მხოლოდ მძლავრი წითელი არმიის ძალებით. და უნდა ითქვას, რომ ჩვენს მეცადინეობას ამაოდ არ ჩაუვლია, ვინაიდან წითელმა არმიამ, რომელმაც დაამარცხა იუდენიჩი, კოლჩაკი, უკვე ამ პერიოდში გვიჩვენა მთელი თავისი სიმძლავრე.

რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით ამ მეორე პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ რუსეთის მარტოობის, იზოლირებულად ყოფნის თანდათანობითი ლიკვიდაციის პერიოდი. ჩნდებიან რუსეთის პირველი მოკავშირენი. გერმანიის რევოლუცია გამოჰყოფს მუშათა შემჭიდროვებულ კადრს, კომუნისტურ კადრს, უყრის რა საფუძველს ახალ კომუნისტურ პარტიას ლიბკნეხტის ჯგუფის სახით. **საფრანგეთში** პატარა ჯგუფი, რომელსაც წინათ ვერ ამჩნევდნენ, ...იქცევა კომუნისტური მოძრაობის სერიოზულ ჯგუფად. **იტალიაში** კომუნისტური მიმდინარეობა, რომელიც პირველ ხანებში სუსტი იყო, იპყრობს იტალიის თითქმის მთელ სოც. პარტიას, მის უმრავლესობას.

**აღმოსავლეთში**, წითელი არმიის წარმატებებთან დაკავშირებით იწყება მღელვარება, რომელიც, მაგალითად, თურქეთში გადავიდა პირდაპირ ომად ანტანტისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ. თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოები ამ პერიოდში უკვე აღარ წარმოადგენენ იმ შემჭიდროვებულ რუსეთისადმი მტრულ მასას, რომელსაც ისინი პირველ პერიოდში წარმოადგენდნენ, რომ აღარ ვილაპარაკოთ საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხის ირგვლივ თვით ანტანტის შიგნით წამოჭრილ უთანხმოებაზე, რაც თანდათანობით გაძლიერდა; უკვე გაისმის ხმები რუსეთთან მოლაპარაკების შესახებ, მასთან შეთანხმების შესახებ. ასეთებია, მაგალითად, ესტონეთი, ლატვია და ფინეთი.

და, ბოლოს, ინგლის-საფრანგეთის მუშებს შორის პოპულარულად გამხდარი ლოზუნგი „ხელები შორს რუსეთისაგან" შეუძლებელს ხდის ანტანტის პირდაპირ შეიარაღებულ ჩარევას რუსეთის საქმეებში, ანტანტა იძულებული ხდება ხელი აიღოს რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის ჯარისკაცთა გაგზავნაზე, ანტანტა იძულებული ხდება დასჯერდეს რუსეთის წინააღმდეგ სხვისი არმიების გამოყენებას, რომლებსაც, თუმცაღა, თავისი შეხედულებისამებრ ვერ განაგებს.

### მესამე პერიოდი.

მესამე პერიოდი — ეს სწორედ ისაა, რომელსაც ჩვენ ახლა განვიცდით. ამ პერიოდს შეიძლება გარდამავალი ვუწოდოთ. ამ პერიოდის პირველი ნახევარი იმით განირჩევა, რომ რუსეთმა, დაამარცხა რა მთავარი მტერი, დენიკინი და ითვალისწინებს რა ომის დამთავრებას, მიზნად დაისახა — ომის მიზნებისადმი შეგუებული სახელმწიფო აპარატები გადაიყვანოს ახალ რელსებზე, სამეურნეო მშენებლობის რელსებზე. თუ წინათ ამბობდნენ „ყველაფერი ომისათვის", „ყველაფერი წითელი არმიისათვის", „ყველაფერი გარეშე მტერზე გამარჯვებისათვის". ახლა უკვე ამბობენ: „ყველაფერი სამეურნეო ცხოვრების განმტკიცებისათვის". მაუხედავად ამისა, მესამე პერიოდის ეს ხანა, რომელიც დაიწყო დენიკინის განადგურებისა და უკრაინიდან მისი განდევნის შემდეგ, შესწყდა პოლონეთის თავდასხმით. აქ ანტანტა მიზნად ისახავდა ხელი შეეშალნა საბჭოთა რუსეთისათვის სამეურნეო განმტკიცებაში და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ გახდომაში. ანტანტას ამისი ეშინოდა და მან პოლონეთი წამოუსისიანა რუსეთს.

საჭირო გახდა ხელახლა გარდაგვექმნა სახელმწიფოს აპარატები, რომლებიც უკვე შეგუებული იყვნენ სამეურნეო მშენებლობასთან, საჭირო გახდა უკრაინაში, ურალზე, დონზე შექმნილი შრომითი არმიები კვლავ გარდაგვექმნა სამხედრო ყაიდაზე, იმისათვის, რომ მათ ირგვლივ დაგვერაზმა საბრძოლო არმიები და გაგვეგზავნა ისინი პოლონეთის წინააღმდეგ. ეს პერიოდი იმით მთავრდება, რომ პოლონეთი უკვე ნეიტრალიზებულია, და ახალი გარეშე მტრები ჩვენ, ჯერჯერობით, აღარ აღმოგვიჩნდნენ. ერთად ერთი პირდაპირი მტერი, — ეს არის დენიკინის არმიის ნაშთები ვრანგელის სახით, რომელსაც ანადგურებს ამჟამად ჩვენი ძვირფასი ამხანაგი ბუდიონი.

ახლა საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ დროის მცირე მანძილისათვის მაინც საბჭოთა რუსეთი მიაღწევს მნიშვნელოვან შესვენებას იმისათვის, რომ მთელი ენერგია თავისი დაუღალავი მუშაკებისა, რომლებმაც თითქმის ერთ დღეს თითქოს მიწიდან გააჩინეს წითელი არმია, წარმართოს სამეურნეო მშენებლობის გზით, ფეხზე დააყენოს ქარხნები, მიწათმოქმედება და სასურსათო ორგანოები.

საგარეო საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისით, მესამე პერიოდი იმით არის დამახასიათებელი, რომ არა მარტო ხელი აიღეს რუსეთის ვერშემჩნევაზე, და არა მარტო ბრძოლა გაუმართეს მას, მთელი ძალღონით გამოჰყავდათ რა სცენაზე მითური 14 სახელმწიფოც კი, რომლებითაც ემუქრებოდა რუსეთს ჩერჩილი, არამედ, რამდენჯერმე ნაცემი რომ აღმოჩნდნენ, რუსეთის წინაშე შიშიც კი შეეპარათ, რადგან გრძნობდნენ, რომ რუსეთის სახით იზრდება უდიდესი სოციალისტური სახალხო სახელმწიფო, რომელიც თავს არავის დააჩაგვრინებს.

შინაგან ურთიერთობათა, შინაგანი მშენებლობის თვალსაზრისით, ეს პერიოდი იმით განირჩევა, რომ რუსეთს ხელფეხი ეხსნება ვრანგელის განადგურების შემდეგ და იგი მთელ თავის ძალღონეს ახმარს შინაგან მშენებლობას, ამასთან უკვე ახლა შესამჩნევია, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები ბევრად უკეთ, ბევრად უფრო საფუძვლიანად მუშაობენ, ვიდრე ეს მეორე პერიოდში იყო. მე-18 წელს ზაფხულში მოსკოვის მუშები 2 დღეში ერთხელ ღებულობდნენ ⅛ გირვანქა კოპტონიან პურს. ეს სავალალო, ეს ძნელი პერიოდი განვლილია. მოსკოველი მუშები, ისევე როგორც პეტროგრადელები, ახლა გირვანქანახევარ პურს ღებულობენ. ეს ნიშნავს — ჩვენი სასურსათო ორგანოები დაეწყვნენ, გაუმჯობესდნენ, ისწავლეს პურის შეგროვება.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკას შინაგანი მტრების მიმართ, იგი უნდა დარჩეს და დარჩება ისეთივე, როგორიც იყო სამივე პერიოდში, ე. ი. პროლეტარიატის ყველა მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის პოლიტიკად. ეს, რა თქმა უნდა, „საყოველთაო თავისუფლების" პოლიტიკა არ არის — პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში არავითარი პოლიტიკა საყოველთაო თავისუფლებისა, ე. ი. არავითარი თავისუფლება სიტყვისა, თავისუფლება პრესისა, და სხვა ასეთი რამ ბურჟუაზიისათვის ჩვენთან არ შეიძლება. ჩვენი შინაგანი პოლიტიკა იმით განისაზღვრება, რომ პროლეტარულ ფენებს ქალაქად და სოფლად მივცეთ თავისუფლების მაქსიმუმი, იმისათვის, რომ ბურჟუაზიული კლასის ნაშთები თავისუფლების მინიმუმსაც კი ვერ ღებულობდნენ. ამაშია დედაარსი ჩვენი პოლიტიკისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას ეყრდნობა.

### პერსპექტივები.

რა თქმა უნდა, ჩვენი სამშენებლო მუშაობა ამ სამი წლის განმავლობაში ისე წარმატებითი არ იყო, როგორც ეს ჩვენ გვსურს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ მუშაობის ის ძნელი, აუტანელი პირობები, რომლებსაც არ შეიძლება გვერდი აუხვიო და რომლებსაც არ შეიძლება ედავო, არამედ ისინი უნდა გადალახო.

ჯერ-ერთი, ჩვენ შენება გვიხდებოდა ცეცხლის ქვეშ. წარმოიდგინეთ კალატოზი, რომელიც ცალი ხელით აშენებს, მეორე ხელით კი იცავს იმ სახლს, რომელსაც ის აშენებს.

მეორე, ჩვენ ვაშენებდით არა ბურჟუაზიულ მეურნეობას, სადაც თვითეული თავის კერძო ინტერესებს ისახავს და არ ზრუნავს სახელმწიფოზე, როგორც მთელზე, არ ისახავს საკითხს სახელმწიფო მასშტაბით მეურნეობის გეგმაშეწონილი ორგანიზაციის შესახებ. არა, ჩვენ ვაშენებდით სოციალისტურ საზოგადოებას. ეს იმას ნიშნავს, რომ აღრიცხულ უნდა იქნას მთელი საზოგადოების საჭიროებანი მთლიანად, უნდა მოეწყოს მეურნეობა გეგმაშეწონილად, შეგნებულად, სრულიად-რუსეთის მასშტაბით. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ამოცანა შეუდარებლად უფრო რთული და ძნელია.

აი რატომ იყო, რომ ჩვენმა სამშენებლო მუშაობამ მაქსიმალური შედეგები ვერ მოგვცა. ასეთ ვითარებაში ჩვენი პერსპექტივები ცხადია: ჩვენ ვდგევართ ჩვენი გარეშე მტრების ლიკვიდაციის მიჯნაზე, მთელი ჩვენი სახელმწიფო აპარატების სამხედრო რელსებიდან სამეურნეო რელსებზე გადასვლის მიჯნაზე, საგარეო პოლიტიკაში ჩვენ მშვიდობიანობის მომხრენი ვართ, ჩვენ ომის მომხრენი არა ვართ. მაგრამ თუ თავს მოგვახვევენ ომს, ხოლო ზოგიერთი მონაცემი მოწმობს, რომ ანტანტა ცდილობს გადაიტანოს სამხარ მოქმედებათა ასპარეზი სამხრეთით, ამიერ-კავკასიაში, თუ ეს ანტანტა, ჩვენგან რამდენჯერმე ნაცემი, ერთხელ კიდევ თავს მოგვახვევს ომს, მაშინ თავისთავად ცხადია, ჩვენ იარაღს არ დავყრით, ჩვენს ჯარებს არ დავშლით; ისევე როგორც წინათ, ჩვენ მთელ ღონისძიებებს ვიხმართ, რომ წითელი არმია დღეგრძელი და საბრძოლველად გამზადებული იყოს, რათა მას შეეძლოს ისევე გაბედულად და მამაცურად დაიცვას საბჭოთა რუსეთი მტრებისაგან, როგორც დღემდე იცავდა მას. მიმოიხილავ რა საბჭოთა ხელისუფლების წარსულს, უნებურად გაგონდება 1917 წლის 24 ოქტომბრის საღამო, ამ სამი წლის წინათ, როდესაც ჩვენ, ბოლშევიკთა პატარა ჯგუფმა, ამხ. ლენინის მეთაურობით, ხელთ გვქონდა რა პეტროგრადის საბჭო (ის მაშინ ბოლშევიკური იყო), უმნიშვნელო წითელი გვარდია, ჩვენს განკარგულებაში გვყავდა რა სულ რაღაც პატარა, ჯერ კიდევ არასავსებით ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია 150 ათასი კაცის შემადგენლობით, მეტი არა, როგორ მოვხსენით ჩვენ, ამ პატარა ჯგუფმა, ძალაუფლებიდან ბურჟუაზიის წარმომადგენელნი და გადავეცით ძალაუფლება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მე-2 ყრილობას.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა.

და აი, ამ პერიოდის განმავლობაში, განვლო რა ცეცხლი და ქარიშხალი, რუსეთი გამოიჭედა მსოფლიოს უდიდეს სოციალისტურ სახელმწიფოდ.

თუ მაშინ ჩვენს ხელში მხოლოდ პეტროგრადის საბჭო იყო, ახლა, სამი წლის შემდეგ, ჩვენს გარშემო რუსეთის მთელი საბჭოები შემჭიდროვდნენ.

ნაცვლად დამფუძნებელი კრებისა, რომლისთვისაც ემზადებოდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ჩვენ ახლა გვაქვს სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც პეტროგრადის საბჭოდან აღმოცენდა.

თუ მაშინ ჩვენ გვყავდა პატარა გვარდია, შემდგარი პეტროგრადის მუშებისაგან, რომლებსაც ეხერხებოდათ ანგარიში გაესწორებინათ პიტერში აჯანყებულ იუნკრებთან, მაგრამ არ იცოდნენ გარეშე მტერთან ბრძოლა, იმიტომ რომ სუსტი იყვნენ, ახლა ჩვენ გვყავს მრავალმილიონიანი სახელოვანი არმია, რომელიც ანადგურებს საბჭოთა რუსეთის მტრებს, რომელმაც დაამარცხა კოლჩაკი, დენიკინი და ახლა... ვრანგელის არმიის უკანასკნელ ნაშთებს ანადგურებს.

თუ მაშინ, სამი წლის წინათ, ჩვენ გვყავდა კომუნისტთა პატარა, ჯერ კიდევ არასავსებით ჩამოყალიბებული პარტია — სულ რაღაც 150 ათასი წევრი, ახლა, სამი წლის შემდეგ, ქარიშხლისა და ცეცხლის შემდეგ, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა გამოიარა, ჩვენ გვყავს პარტია 700 ათასი წევრით, პარტია ფოლადისაგან გამოჭედილი, პარტია, რომლის წევრთა რიგები ყოველ წუთში შეიძლება ახლებურად დაეწყო და ასეულ ათასობით დაეყენო ყოველ პარტიულ სამუშაოზე; პარტია, რომელსაც, არ ეშინია რა არავითარი არევ-დარევისა თავის რიგებში, ცენტრალური კომიტეტის ერთი ხელის დაქნევით შეუძლია ახლებურად დააწყოს თავისი რიგები და დაიძრას მტრის წინააღმდეგ.

თუ მაშინ, სამი წლის წინათ, დასავლეთში ჩვენ გვყავდა მხოლოდ პატარა-პატარა თანაგრძნობი ჯგუფები,...—ახლა ჩვენს წინაშე, სამი წლის შემდეგ, გაიზარდა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის უდიდესი ორგანიზაცია — III კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელმაც დაიპყრო ძირითადი პარტიები ევროპაში: გერმანიისა, საფრანგეთისა და იტალიისა. ჩვენ ახლა გვაქვს საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ძირითადი ბირთვი კომუნისტური ინტერნაციონალის სახით, რომელმაც დაამარცხა და გულაღმა დასცა მეორე ინტერნაციონალი.

და ეს შემთხვევითი როდია, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადი ბატონი კაუტსკი რევოლუციამ გერმანიიდან გააძევა, რომ იგი იძულებულია თავშესაფარი ეძებოს ჩამორჩენილ თბილისში, ქართველ სოციალ-შედუქნეებთან.

დასასრულ, თუ სამი წლის წინათ, ჩაგრული აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩვენ ვხვდებოდით მხოლოდ გულგრილობას რევოლუციისადმი, ახლა აღმოსავლეთი ამოძრავდა, და ახლა აღმოსავლეთში ჩვენს წინაშეა მთელი რიგი განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომლებიც მიმართულია ანტანტის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ გვაქვს რევოლუციური ბირთვი, რომელიც თავის გარშემო ამჭიდროვებს ყველა დანარჩენ კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებს — ქემალის მთავრობის სახით, რომელიც ბურჟუაზიულ-რევოლუციურია, მაგრამ მაინც აწარმოებს ბრძოლას ანტანტის წინააღმდეგ იარაღით ხელში.

თუ სამი წლის წინათ ჩვენ ოცნებაც არ შეგვეძლო იმაზე, რომ აღმოსავლეთი ამოძრავდებოდა, ახლა ჩვენ გვაქვს არა მარტო რევოლუციური ბირთვი აღმოსავლეთის ბურჟუაზიულ-რევოლუციური თურქეთის სახით, არამედ ჩვენ ხელთ გვაქვს აღმოსავლეთის სოციალისტური ორგანოც: „მოქმედებისა და პროპაგანდის კომიტეტი".

ყველა ეს ფაქტი, რომელიც მეტყველებს იმაზე, თუ რა ღარიბი ვიყავით რევოლუციური მხრივ ამ სამი წლის წინათ, და რა მდიდარი გავხდით ახლა, ყველა ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცებდეთ, რომ საბჭოთა რუსეთი იცოცხლებს, რომ იგი განვითარდება, და რომ იგი დაამარცხებს თავის მტრებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი გზა იოლი როდია, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ სიძნელეები ჩვენ ვერ გვაშინებს. ლუთერის ცნობილი სიტყვების გადასხვაფერებით, რუსეთს შეუძლია სთქვას: „აქ მე ვდგევარ მიჯნაზე ძველ კაპიტალისტურ და ახალ სოციალისტურ სამყაროს შორის, აქ, ამ მიჯნაზე მე ვაერთიანებ დასავლეთის პროლეტართა ღონისძიებებს აღმოსავლეთის გლეხობასთან, იმისათვის, რომ გავანადგურო ძველი სამყარო. შემეწიოს მე ღმერთი ისტორიისა".

**ი. სტალინი.**

გაზეთი „კომუნისტი", 1920 წ. 11 ნოემბერი № 160, გვ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღრმად შევისწავლოთ საარჩევნო კანონის თვითეული მუხლი

## მომზადებული შევხვდეთ არჩევნებს

წალენჯიხის რაიონის მშრომელნი გულდასმით სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს. რაიონში ჩამოყალიბებულია დებულების შემსწავლელი 198 წრე, რომლებშიც ჩაბმულია 6000 კაცი.

წალენჯიხის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია 7 წრე. კოლმეურნეები: მალხაზ კვარაცხელია, მალაქია ზარქუა, დათიკო მიქავა, ილარიონ ძაბამია და სხვები გულმოდგინედ სწავლობენ არჩევნების წესებს. წალენჯიხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია წრეების მუშაობას სისტემატურად ამოწმებს.

წალენჯიხის ამხ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში სულ 5 წრეა, მათი მუშაობა ვერაა დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, წრის ხელმძღვანელებმა ა. იფსიამ და მ. კალანდიამ დროის უქონლობა მოიმიზეზეს და მუშაობა ჩაშალეს. წრეებში მათ მხოლოდ ერთი მეცადინეობა ჩაატარეს.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ი. შენგელიამ, ოთარ შანავამ, ტ. შანავამ და ა. ზარქუამ თავიანთ წრეებში მეცადინეობა ათჯერ ჩაატარეს. მეცადინეობის ხარისხიც კარგია.

წალენჯიხის რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა ამ დღეებში სამი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება მოისმინა და უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა არადამაკმაყოფილებლად სცნო.

დებულების შესწავლას დიდად შეუწყო ხელი პოლიტდღეების მოწყობამ. პოლიტდღეები მოეწყო წალენჯიხის ლ. ბერიას სახელობის სოფ. ფახულანის სტალინის სახელობისა და სოფ. ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში. პოლიტდღეებში კოლმეურნეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მომხსენებელს 120-130 შეკითხვა მისცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ წალენჯიხის რაიონული გაზეთი „სტალინელი“ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს, აგიტაციის საქმეში ჩამორჩენილია.

კომკავშირული ორგანიზაციებიც ძალიან ჩამორჩებიან. მათი მონაწილეობა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების კამპანიაში სრულებით არა ჩანს. საქ. კ.პ. (ბ) წალენჯიხის რაიონულმა კომიტეტმა კომკავშირის მუშაობა უნდა გამოაცოცხლოს.

**ვლ. ზარქუა.**

## აგიტატორსაც სწავლა ესაჭიროება...

ამჟამად კოლმეურნე გლეხის ფიქრები და გრძნობები მიპყრობილია სტალინური კონსტიტუციისაკენ, სოციალისტური ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისაკენ.

დაწყებული საარჩევნო კამპანია უაღრესად სერიოზული გამოცდაა ყველა პარტორგანიზაციისათვის. პარტიის ყველა წევრი, თანამგრძნობი და კომკავშირელი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს ახალი საარჩევნო კანონის კარგი აგიტატორი.

სამწუხაროდ, ზესტაფონის რაიონში ჯერ კიდევ ზოგიერთი აგიტატორი საარჩევნო კანონის პროპაგანდას ზერელედ ეკიდება. არის შემთხვევები, როცა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელი მოუმზადებლად ატარებს მეცადინეობას, შეკითხვებზე გლეხებს ვერ აძლევს სწორ განმარტებებს (ან სრულიად გვერდს უვლის შეკითხვებზე პასუხის გაცემას). ამაში მარტო აგიტატორები და წრის ხელმძღვანელები როდი სტყუიან; უმრავლეს შემთხვევაში მათი სუსტი მუშაობა პარტიული ორგანიზატორის უყურადღებობის შედეგია.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ქვემო-საქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული წრის აგიტატორ კუპატაძის მუშაობის მაგალითი.

სააგიტაციო საუბრის დროს აგიტატორ კუპატაძეს გლეხები გულმოდგინეთ უსმენდნენ, დასასრულ ერთი კოლმეურნე შეეკითხა:

უზენაეს საბჭოში ასარჩევ კანდიდატურათა სიაში დასახელებულთაგან რამდენი უნდა წავშალოთ? ამ ელემენტარულმა შეკითხვამ აგიტატორი ჩააფიქრა, და რაკი პასუხი ვერ მოიგონა, გადასწყვიტა, მცდარი განმარტების ნაცვლად, ამ შეკითხვაზე თავი შეეკავებინა და პასუხი არ გაეცა.

— უზენაესი საბჭოსა და სასოფლო საბჭოს არჩევნები ერთად მოხდება თუ ცალცალკე? — შეეკითხა მას მეორე კოლმეურნე. აგიტატორი ამ საკითხმაც დააფიქრა, მან დაგვიანებით გადასწყვიტა პასუხის გაცემა და თუმცა თვითონაც არ იყო გარკვეული ამ საკითხში, მაგრამ მაინც უპასუხა: „არაო“.

— როგორია არჩევნები საზღვარგარეთ?, სად აირჩევენ ამხანაგ სტალინს? ეკითხებოდნენ კოლმეურნეები, მაგრამ აგიტატორი ამ საკითხებზედაც დამაკმაყოფილებელ განმარტებებს ვერ აძლევდა.

აგიტატორი კუპატაძე ნიჭიერი ახალგაზრდა კოლმეურნეა.

პარტორგანიზაციამ იგი გამოჰყო აგიტატორად, შემდეგ მას დააკისრა დებულების შემსწავლელი ორი წრის ხელმძღვანელობა, მაგრამ ამის შემდეგ იგი დაივიწყა. მისთვის აღარაა არც სემინარი, არც ინსტრუქტაჟი, არც ლიტერატურა. თუ შეეკითხებით რომელი ლიტერატურით სარგებლობს უზენაესი საბჭოს საარჩევნო დებულების შესასწავლად, გიპასუხებთ, რომ მას მხოლოდ ორი ბროშურა აქვს: „დებულება“ და „კონსტიტუცია“, სხვა ლიტერატურას ამ საკითხზე იგი არ იცნობს. აგიტატორს წაკითხული არა აქვს ამხანაგ კალინინის, მოლოტოვის, ვიშინსკის სტატიები და მოხსენებები ამ საკითხზე. აქედან ცხადია, რომ მას არ შეუძლია განუმარტოს კოლმეურნეებს ახალი საარჩევნო კანონის ყველა მუხლი.

თვითეულ კოლმეურნეს სურს დაწვრილებით შეისწავლოს ახალი საარჩევნო კანონი, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. საჭიროა მასების ამ დიდ ინტერესსა და აქტივობას ნამდვილად ჩაუდგეს სათავეში პარტიული ორგანიზაცია.

**ან. დოლონაძე.**
**ა. გოჩაძე.**

## დიდი სიხარული

**ანა მესხიშვილი**

ჭიათურის საარჩევნო ოლქის № 506 კომისიის წევრი.

ზესტაფონის რაიონის, სოფელ პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ უდიდესი ნდობა გამომიცხადა და დამაკისრა უაღრესად საპატიო ამოცანა—ვიყო წარმომადგენლად კავშირის საბჭოს საარჩევნო ოლქის კომისიაში.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ასეთი დიდი სიხარული მე არ განმიცდია... საერთოდ კი სიხარული, სიამე და ბედნიერება მე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვიგრძენი... აბა რა იყო ჩემი ცხოვრება მეფისა და გაიძვერა მენშევიკთა ბატონობის დროს! მაშინ ჩემს თვალებს მწუხარების ცრემლი არ შორდებოდა, ჩემ გულს — სევდა; ჩემს ოჯახში მუდამ გლოვა და ბედის სამდურავი გაისმოდა...

ქმარი ადრე მომიკვდა, უუფლებო, უპატრონოდ დარჩენილ დედას კეთილი მეზობლის გარდა არავინ მყავდა გულშემატკივარი, მაგრამ იმ მეზობელსაც როგორ შეეძლო ჩემი დახმარება, როცა ისიც ჩემსავით გაქვავებული და გატანჯული დამხმარისა და დამცველს ეძებდა.

— სკოლაში შეგვიყვანეო... ცხარე ცრემლით მემუდარებოდნენ შვილები. მე ლუკმა მჭადის შოვნა მიჭირდა და აბა როგორ გადამეხადა მათი სწავლის ფული.

მაგრამ რა მექნა! სულაც რომ განადგურებულიყავ, შვილების სწავლა-განათლების გარეშე დარჩენას ვერ შევურიგდებოდი. მძიმე შრომითა და ტანჯვით მონაგროვები გროშები სკოლას უნდებოდა.

უკვე აღარ მყოფნიდა სულგრძელობა, აღარ შემეძლო მეტი ტანჯვის ატანა და გადავწყვიტე შვილები სკოლიდან გამომეყვანა... სწორედ ამ ხანებში ოქტომბრის მზემ ჩვენი მზარეც გააბრწყინა ცხოველმყოფელი სხივებით. ჩემს ოჯახს (და არა მარტო ჩემს ოჯახს, არამედ ყველა მშრომელის ოჯახს) გაუჩნდა ნამდვილი გულშემატკივარი — პატრონი, მზრუნველი მამა და დამცველი — **საბჭოთა ხელისუფლება.**

... და მას შემდეგ ჩემი ცხოვრება გამოიცვალა. გლოვა სიხარულმა შესცვალა, ცრემლი და ტირილი—საამურმა ჰანგებმა, მონური შრომა — თავისუფალმა შრომამ, სიღარიბე — შეძლებულებამ.

შვილები უმაღლეს სასწავლებელში შევიდნენ. სახელმწიფომ თავის ხარჯზე გამოზარდა ისინი. ისე დაამთავრეს მათ უმაღლესი სწავლა, რომ მე მათი აღზრდისათვის აღარ შევწუხებულვარ. სტიპენდიას იღებდნენ, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. ამჟამად სამივენი საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშაობენ. უფროსი შვილი—ტერენტი აგრონომია, თალიკო — ეკონომისტი, უმცროსი პავლუშა—საგზაო ინჟინერი. განა ამაზე მეტი სიხარული შეიძლება იყოს დედისათვის! ეს სიხარული ხომ საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა ჩვენ—დედებს!..

და განა მარტო ასეთი სიხარული? ბევრი სხვაგვარი სიხარული და ბედნიერება განვიცადეთ და განვიცდით დღესაც.

სად? რომელ ქვეყანაში იღებს გლეხი ქალი აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში? ვინ მოსწრებია, რომ ძველ დროს გლეხი ქალი მთავრობის წევრი ყოფილიყო, სახელმწიფო საქმე ეწარმოებინა? ახლა კი სხვა დროა, აი ჩემი პირადი მაგალითი მოწმობს, თუ როგორ დაფასებულია დღეს ქალთა ძალა. ჯერ კიდევ 1934 წლიდან მე საქართველოს ცაკის წევრი ვარ.

კოლმეურნეობის ერთერთი ბრიგადის ხელმძღვანელი ვიყავი, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიაში ამირჩიეს, ზესტაფონის რაიაღმასკომის პლენუმის წევრი ვარ, ახლა კი ჭიათურის საარჩევნო ოლქის კომისიაშიაც ამირჩიეს. ეს ქალისადმი დიდი ნდობაა. ეს ნდობა ჩემში უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს.

ახლა იმაზე ვფიქრობ, რომ ხალხის ნდობა სახელოვნად გავამართლო, რათა ჩემი მუშაობის კარგი მაგალითით წავათამამო და გავააქტივო ჩვენი კოლმეურნე ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ გაუბედაობას იჩენენ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ საქმიანობაში. სტახანოველი კოლმეურნე ქალები: ნინა მესხიშვილი, იულია მარაქველიძე, ანეტა სულაქველიძე და სხვები, მართალია, შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან, მაგრამ ისინი აქამდე სუსტად იყვნენ ჩაბმულნი პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ მუშაობაში. ამ უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით საარჩევნო კანონის გაცნობის შემდეგ, ჩვენს კოლმეურნე ქალთა შორის საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებისადმი. ისინი აღფრთოვანებული არიან ახალი საარჩევნო კანონით, იმ კანონით, რომელიც მათ ერთდროს ადამიანურ უფლებებს მოკლებულთ — ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას. უშუალოდ აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფოს ხელმძღვანელ ორგანოებში.

ჩვენი კოლმეურნე ქალები საარჩევნო კანონის შესწავლას შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ქალი საბჭოთა ქვეყანაში არა მარტო დედაა, არამედ იგი მამაკაცის თანატოლი, სრულუფლებიანი მოქალაქეა.



თბილისი. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად მოწყობილი ოთახი კიროვის რაიონში.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## გავამართლებ ნდობას

1937 წლის 12 დეკემბერი — ეს ის თარიღია, რომელსაც გულის ფანცქალით და უდიდესი სიხარულით მოველი. ამ დღეს საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი ბედნიერი მოსახლეობა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას მოიხდის. უკლებლივ ყველა მივა თავის საარჩევნო უბანში და საარჩევნო ყუთში ჩაუშვებს ბიულეტენს, სადაც აღნიშნული იქნება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილთა სახელები.

მე საქართველოს საბჭოების იმ საგანგებო ყრილობის დელეგატი ვიყავი, რომელმაც სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია გამოიმუშავა. კიდევ მეტი. მე, რიგითი მასწავლებელი, კონსტიტუციის სარედაქციო კომისიაში ამირჩიეს და ამგვარად აქტიური მონაწილეობა მივიღე სოციალისტური ქვეყნის ძირითადი კანონის გამომუშავებაში!

და სავსებით გასაგებია ჩემი სიხარული, უდიდესი აღტაცება ამ კონსტიტუციის საფუძველზე უზენაესი საბჭოს არჩევნების მოახლოვების გამო.

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ 12 დეკემბერი მძიმე ლოდი იქნება ტროცკისტ - ბუხარინელ საზიზღართა ბილწ სამარეზე. ეს დღე ერთხელ კიდევ ჩასცემს ლახვარს იმას, ვინც ლენინ - სტალინის პარტიის, სოციალიზმის ბედნიერი ქვეყნის დუშმანი და ორგულია.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება ყველა მასწავლებელმა იცის, მაგრამ ეს როდი კმარა. თვითეული ჩვენგანი უნდა იყოს ამ უდიდესი დოკუმენტის აქტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი — სკოლაში იქნება ეს, სახლში, ქუჩაში, თუ სხვაგან. თვითეულმა მასწავლებელმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს საარჩევნო კომისიას, დავალება დაუზარებლად და პირნათლად შეასრულოს.

ყველა მშრომელთან ერთად საბჭოთა მასწავლებელიც გამსჭვალულია ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით: უზენაეს საბჭოში აირჩიოს საუკეთესოთაგან საუკეთესონი, ვინც თავდადებული და უსაზღვროდ ერთგულია ლენინ - სტალინის დიადი საქმისა, ვისაც უსაზღვროდ უყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, მისი საუკეთესო მესაჭე, ბელადი და მასწავლებელი—დიდი სტალინი.

ამჟამად მე საქართველოს მთავრობამ ეროვნებათა საბჭოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრად დამამტკიცა. ეს გარემოება აათკეცებს ჩემს პასუხისმგებლობას. პირობას ვიძლევი სავსებით გავამართლო პარტიისა და მთავრობის ნდობა და აქტიურად ვიმუშაო არჩევნების უნაკლოდ ჩატარებისათვის.

**ალ. ხუსკივაძე**

თბილისის მე-7 სკოლის ორდენოსანი მასწავლებელი. ეროვნებათა საბჭოს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წევრი.

## ანაზღაურებული დანაკლისი

სამოქალაქო ომის ორომტრიალში, როდესაც ინტერვენტებმა ბაქო აიღეს, დავკარგე შვილი. არ მეგონა, თუ ჩემში კვლავ რაიმე დაჰბადებდა სიცოცხლისა და ცხოვრების ინტერესს. მე ვხედავდი, რომ ქვეყანა წელში სწორდებოდა, სამოქალაქო ქარტეხილების დროს მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა. შემდეგ ხუთწლედების ეპოქა დაიწყო. ჩემში თანდათან გაძლიერდა თვალწარმტაცი მომავლისაკენ ლტოლვის სურვილი. ვთქვი, უქმად ყოფნა ახლა საბჭოთა ქალს არ შეშვენის — მეთქი, და ვთხოვე ამხანაგებს ჩვენს საბინაო კავშირში — მოეცათ ჩემთვის რაიმე საზოგადოებრივი დავალება.

საზოგადოებრივმა მუშაობამ მიმიზიდა და ისე ჩამითრია, რომ თითქმის დამავიწყა პირადი ამბები. ქვეყანაში იწყებოდა საამური და ბედნიერი ცხოვრების ხანა. შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება, სტახანოვური მოძრაობის განვითარება ერთი მხრივ, კულტურული და შეძლებული ცხოვრების დამკვიდრება, მეორე მხრივ. ქვეყანა სწრაფი ტემპით გაქანდა აღორძინებისა და კიდევ უფრო ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

საბინაო ამხანაგობიდან ჩვენმა დიასახლისებმა ლენინის რაისაბჭოს დეპუტატად ამირჩიეს, როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი-დიასახლისი. მასების ნდობამ კიდევ უფრო წამახალისა და გამახარა.

ერთი წლის წინათ, ეს ყველას ახსოვს, საბჭოთა კავშირის ხალხთა საყოველთაო სიხარული, მთელი მსოფლიოს პატიოსან მშრომელთა აღფრთოვანება გამოიწვია სტალინურმა კონსტიტუციამ. ის ქვეყანა, რომელსაც ასეთი კონსტიტუცია აქვს, ბედნიერი ქვეყანაა. განა წარმოსადგენია, რომ ამ ბედნიერ ქვეყანაში, იქ სადაც არ არსებობს ჩაგვრა, სადაც ადამიანის ღირსება იდეალურ სიმაღლემდეა აყვანილი, კაცი განუდგეს საზოგადოებას და ინდივიდუალურ ინტერესთა ვიწრო რკალში მოექცეს?

ახლა მე არჩევნებისათვის მზადებაზე ვმუშაობ. მოვაწყე 8 წრე. მათ შორის 5 წრეში მეცადინეობა უკვე დამთავრდა, გამოშვებულია 125 მსმენელი. სამ წრეში ახლაც სწავლობენ არჩევნების დებულებას.

ჩვენი დიასახლისები ბედნიერი ქვეყნის დედები არიან, ისინი ზრდიან ჩვენი ქვეყნის ახალთაობას, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტებს. მეც დიასახლისი ვარ და მშობლიური სიყვარულით შევხარი ჩვენს ნორჩ თაობას. ჩემი დანაკლისი ანაზღაურებულია.

**ბარბარე ჯაფარიძე.**

დიასახლისი — დეპუტატი.

## პატარა საუბარი დიდ საქმეზე

ქვემოსაქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგს მ. არაბიძეს ვეკითხებით:

— როგორ ემზადება თქვენი კოლმეურნეობა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის?

**პარტორგი:** ჩამოვაყალიბეთ უზენაესი საბჭოს საარჩევნო დებულების შემსწავლელი 12 წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 427 კაცი.

— კოლმეურნეობაში რამდენი კაცია გაერთიანებული?

**პარტორგი:** ასე, 800-დე იქნება.

— დანარჩენები არ სწავლობენ დებულებას?

**პარტორგი:** ალბათ, კიდევ ჩამოვაყალიბებთ წრეებს და მაშინ ისწავლიან. კანონით აქ 21 წრე უნდა გვქონდეს, მაგრამ...

— აგიტატორები თუ ატარებენ საუბრებს საარჩევნო დებულების ირგვლივ?

**პარტორგი:** აგიტაცია გაშლილია, თუმცა ახლა ცალკე აგიტაციისათვის აღარ გვცალია, ყველა აგიტატორი წრის ხელმძღვანელადაა გამოყენებული.

— როგორ აწარმოებთ პროპაგანდას იმ პირებთან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო მეცადინეობას ვერ ესწრებიან?

**პარტორგი:** მათთან არ ვაწარმოებთ მუშაობას, ამაში ისინი არიან დამნაშავენი.

— თქვენი კოლმეურნეები ხომ გამოეხმაურნენ მთავრობის დადგენილებას არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ?

**პარტორგი:** კი, მიტინგი ჩატარდა კოლმეურნეობაში.

— იკისრეს თუ არა რაიმე ვალდებულებები კოლმეურნეებმა არჩევნებთან დაკავშირებით?

**პარტორგი:** იკისრეს, მაგრამ არ ვიცი რა ვალდებულებებია, მე მიტინგს არ დავსწრებივარ (!)

— არც შემდეგ დაინტერესებულხართ მიტინგზე მიღებული ღონისძიებებით?

**პარტორგი:** ძალიან დაინტერესდი, მაგრამ ვერ მოვიცალე, ბევრი საქმე მქონდა.

(პარტორგი მოსე არაბიძე ცდილობს თავი აარიდოს შემდგომ შეკითხვებს ამ თემის ირგვლივ და ლაპარაკს იწყებს სხვა საკითხზე).

ამ პატარა საუბრიდან გამოირკვა, რომ კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი სუსტად ზრუნავს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მასების დასარაზმავად. უზენაესი საბჭოს არჩევნებს ის სასხვათაშორისო საქმედ სთვლის, კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ თურმე არაბიძე ამავე დროს არის ქვემოსაქარის სოფლის საბჭოს დეპუტატი. მით უფრო არ ეპატიება მას ასეთი გულგრილობა საბჭოების არჩევნებისადმი.

**ა. გ.**

## საბჭოთა გლეხობა ემზადება არჩევნებისათვის

ყველა მშრომელთან ერთად სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის ემზადება ამომრჩეველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმი საბჭოთა გლეხობა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობს მუშათა კლასთან სრულიად თანაბარი უფლებებით. უკვე მარტო ესეც შესანიშნავი მაჩვენებელია მუშათა კლასის დიქტატურის უდიდესი გამარჯვებისა, ლენინ-სტალინის პარტიის და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებისა.

ექსპლოატატორულ კლასებთან და მათ აგენტებთან სასტიკ ბრძოლებში გლეხობამ, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, პოლიტიკური მეცნიერების დიდი კურსი გაიარა. იგი ახლა არჩევნებზე მიდის ლენინ-სტალინის პარტიის საქმის, სოციალიზმის დიადი საქმის ერთგულ ადამიანთა პოლიტიკურად მომწიფებულ, შემჭიდროებულ რაზმად.

გლეხობის უდიდესი უმრავლესობა უკვე შესულია კოლმეურნეობებში. სოციალისტურმა სახელმწიფომ კოლმეურნეობებს განუმტკიცა უფასო და უვადო სარგებლობაში, ესე იგი სამუდამოდ, 400 მილიონზე მეტი ჰექტარი მიწა, მათ შორის 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი მემამულური, სახაზინო და სამონასტრო მიწა. ამ მიწებზე კოლმეურნე გლეხობამ წელს მარცვლეულ კულტურათა ისეთ მოსავალს მიაღწია, როგორიც არასოდეს ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მეფის რუსეთში. სოციალისტურ მინდვრებზე მიღებულია 6,8 მილიარდი ფუთი მარცვლეული მოსავალი, იმაზე თითქმის 2 მილიარდით მეტი, რასაც რევოლუციამდელი რუსეთი ყველაზე მოსავლიან წლებში იღებდა.

საბჭოთა სოფელში აღარ არის ღარიბი გლეხობა. აღარ არიან უქონელი, უმიწაწყლო, უცხენო მეურნეობანი. 20—30 მილიონი ყოფილი ღარიბი გლეხი შევიდა კოლმეურნეობებში, ისინი გადაიქცნენ უზრუნველყოფილ ადამიანებად და წარმატებით აშენებენ შეძლებულ ცხოვრებას.

პარტიამ და მთავრობამ კოლმეურნეობანი მოამარაგეს საუცხოო მანქანებით, რომლებიც აადვილებენ შრომას, აჩქარებენ მუშაობის პროცესებს და გვეხმარებიან მივიღოთ მიწიდან ყოველივე, რის მიცემაც კი მას შეუძლია. საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს 356,8 ათასი ტრაქტორი, რომელთა საერთო ძალოვნება 6.500 ათას ცხენძალას უდრის. 96.300 კომბაინი იღებს საკოლმეურნეო პურეულს. ხდება ყველაზე შრომისტევად სამუშაოთა მექანიზაცია.

უზენაესი საბჭოს არჩევნებზე კოლმეურნე გლეხები მიდიან არა ღარიბნი, არა მცირეშეძლებული საშუალო გლეხები, რომელთაც არ იციან, თუ რას უქადის მათ ხვალინდელი დღე. ისინი მიდიან როგორც უზრუნველყოფილი ადამიანები, რომელთაც უხვად აქვთ პური და იციან, რომ ხვალინდელი დღე მათ არავითარ უბედურებას არ უქადის და რომლებმაც იციან, რომ ხვალ ცხოვრება კოლმეურნეობაში კიდევ უფრო შეძლებული, კიდევ უფრო კულტურული იქნება.

რუსი გლეხი ქალი—წარსულში უუფლებო მონა, რომლის ბედი არაერთხელ ყოფილა დატირებული ლექსებსა და პროზაში,—არჩევნებზე მიდის როგორც სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი,—ბედნიერი და თავისუფალი.

რა საოცარი ცვლილებებია — სოციალური, პოლიტიკური, სამეურნეო! რა უდიდესი გამარჯვებებია! საბჭოთა გლეხობა ამჟამად ენერგიულად ემზადება უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის. კოლმეურნეთა მრავალრიცხოვან კრებებზე ასახელებენ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. საბჭოთა გლეხობის აზრები და ფიქრები უწინარეს ყოვლისა მიმართულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიისაკენ, რომელმაც გლეხები სიღარიბიდან, კულაკური კაბალიდან და სიბნელიდან გამოიყვანა ნათელ, შეძლებულ ცხოვრებაში. საბჭოთა გლეხობა თავის პირველ სიტყვას მიმართავს ამხანაგ სტალინს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს. მას—საყვარელს, ახლობელს, მშობლიურს—სტალინს და მის საუკეთესო თანამებრძოლებს — მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჩუბარს, ჟდანოვს, ეჟოვს—გლეხობა პირველ რიგში ასახელებს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

ამ დღეებში შესდგა როსტოვის ოლქის გრუშევსკის სტანიცის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრება. თავის დადგენილებაში კოლმეურნეებმა ჩასწერეს:

„ჩვენ, გრუშევსკის სტანიცის კაზაკები და კაზაკი-ქალები, შევიკრიბენით რა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა განსახილველად, გამსჭვალული ვართ ერთიანი გრძნობით და გადავწყვიტეთ ნოვოჩერკასკის მე-225 საარჩევნო ოლქის საბჭოთა კაზაკობისაგან კანდიდატად დავასახელოთ ის, ვისი სახელი ყველას პირზე აკერია, ვისი სახელი გახდა კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშად, დავასახელოთ ის, ვინც საბჭოთა კაზაკობა და მთელი საბჭოთა ხალხი ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებასთან მიიყვანა. ჩვენი კანდიდატის სახელი ერთნაირად ჟღერს ყველა ენასა და კილოკავზე. ეს სახელი თანაბრად სასურველი, საყვარელი და მახლობელია თვითეული საბჭოთა პატრიოტისათვის. **ეს სახელია—სტალინი**“.

საკოლმეურნეო სოფელში გაიზარდნენ ათასობით შესანიშნავი ადამიანები, ბოლომდე ერთგულნი საკოლმეურნეო წყობილებისა, აღზრდილნი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, აღმდგარნი დიდი პოლიტიკური მუშაობისათვის. ასეთ ადამიანებს გლეხობა ასახელებს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად.

ტულის ოლქის ვენევსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ტრუდ ი ზნანიეს“ კოლმეურნეთა საერთო კრებამ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სტალინოგორსკის სასოფლო საარჩევნო ოლქში დაასახელა: **მარიამ ივანეს-ასული კოსტრიუკოვა**—კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

იახრომის სართავ-საქსოვი ფაბრიკის მუშათა და მოსკოვის ოლქის დიმიტროვის რაიონის კოლმეურნეობა „პობედის“ კოლმეურნეთა საერთო კრებამ კანდიდატად დაასახელა კოლმეურნეობის ქოხ-ლაბორატორიის გამგე ამხ. **სიდოროვი**, რომელმაც დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი გადასწყვიტოს სახელმწიფო საქმეები.

კრებების ტრიბუნებზე გამოდიან მოხუცი გლეხები, ისინი ჰპოულობენ ისეთ სიტყვებს, რომელნიც ღრმად სწვდებიან გულში ახალგაზრდობას, რომელნიც დიდხნით აღიბეჭდებიან მეხსიერებაში. უკრაინაში, ბრუსილოვის რაიონის სოფელ ვოდიტში, საკოლმეურნეო კრებაზე სიტყვა პირველმა აიღო 62 წლის კოლმეურნემ ვასილ როჟუშენკომ. მიმართა რა ახალგაზრდობას, მან სთქვა:

**— თქვენ ბედნიერი ადამიანები ხართ, — თქვენ წილად გხვდათ ისეთი ცხოვრება, რომელზეც ჩვენ ახალგაზრდობაში ოცნებაც კი არ შეგვეძლო. მაშ საკუთარი თვალივით გაუფრთხილდით ამ ცხოვრებას და ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას.**

ამ სიტყვების სანუკვარი აზრი გასაგებია მილიონობით გლეხებისა და გლეხ-ქალებისათვის. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს უკვე დღეს თვითეული გლეხი და გლეხ-ქალი დეტალებში იცნობდეს სტალინურ კონსტიტუციას, მომავალ არჩევნებს, მათს მნიშვნელობას, არჩევნების ტექნიკას, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს. საგიტაციო - პროპაგანდისტულ მუშაობაში საკოლმეურნეო სოფელს უდიდესი დახმარება შეუძლია გაუწიოს და უნდა გაუწიოს სოციალისტურმა ქალაქმა. უკვე ახლა ჩვენი კავშირის მოწინავე საწარმონი სოფლად გზავნიან თავის აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, რომელთაც გლეხთა მასების სიღრმეში შეაქვთ სტალინური კონსტიტუციის დიადი სიტყვა, პარტიის სიტყვა. ეს დახმარება ყოველნაირად უნდა გაფართოვდეს.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ თვით კოლმეურნეობებში გაიზარდნენ ათეული ათასობით პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომელთაც, სათანადო დახმარების დროს, შეუძლიათ გახდნენ სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შესანიშნავი აგიტატორები და პროპაგანდისტები.

ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში სოფლად მთელ ამ დიდ მუშაობას? რა თქმა უნდა, ჩვენი რაიონული პარტიული ორგანიზაციები. უწინარეს ყოვლისა მათ აწევთ მხრებზე სოფლად საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ორგანიზაციის მთელი სიმძიმე. **ამ მუშაობას სოფლის პარტიული ორგანიზაციები იმ შემთხვევაში გაართმევენ თავს, თუ ისინი მას გასწევენ უპარტიო კოლმეურნეებთან და კოლმეურნე ქალებთან ერთად, რომლებიც ერთგული არიან საკოლმეურნეო წყობილებისა და ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა.**

წინასაარჩევნო კრებები კოლმეურნეობებსა და სოფლებში, ერთპიროვნულ მეურნეთა ჩათვლით, უკვე ასახელებენ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. ეს კრებები ხდებიან მუშათა და გლეხთა კავშირის ურღვევი სიმაგრის უაღრესად მკაფიო დემონსტრაციად, ბოლშევიკების პარტიის დროშისა და მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ კომუნისტთა და უპარტიოთა ერთიანობის დემონსტრაციად.

მტრული ელემენტები ცდილობენ გამოიყენონ არჩევნებამდე დარჩენილი დრო თავისი ძირგამომთხრელი მუშაობის გასაძლიერებლად. ბოლშევიკური სიფხიზლე უდიდესად უნდა გამახვილდეს. ემზადო არჩევნებისათვის — ნიშნავს არა მარტო მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შესწავლაში, არამედ გამუდმებით ამხილო კიდევაც მტრის ხრიკები, დაუზოგავად ებრძოლო მტრებს, რა ნიღაბიც არ უნდა ჰქონდეთ მათ აფარებული.

არჩევნების დღე არც ისე შორსაა. გავაათკეცოთ ძალღონე არჩევნების მომზადებისათვის — ქალაქადაც და განსაკუთრებით სოფლად! გავგზავნოთ კავშირის საბჭოში და ეროვნებათა საბჭოში ჩვენი დიადი სამშობლოს ყველაზე ღირსეული შვილები! გავგზავნოთ ისინი, ვინც ნაცადი და გამოწრთობილია მტრებთან ბრძოლაში, ვისაც შესწევს უნარი გასწიოს დიდი სახელმწიფო მუშაობა, ვინც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულია ლენინ-სტალინის საქმისა, ხალხის საქმისა.

**„პრავდის“ მოწინავე, 26/X.**

## სუსტად ემზადებიან

ზუგდიდის რაიონის სოფ. ნარაზენში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ორგანიზაციას და მის ხარისხს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

არჩევნების დებულების შესწავლისათვის კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბებულია 16 წრე, რომლებშიაც გაერთიანებული არიან როგორც კოლმეურნენი, ისე არა კოლმეურნე გლეხები. მაგრამ მსმენელნი სისტემატურად აკლდებიან მეცადინეობას. მაგალითად, კოლმეურნეობის მე-2 ბრიგადასთან არსებულ წრეში, სადაც 35 მსმენელი ირიცხება, მეცადინეობას ესწრება 30 კაცი; მე-8 ბრიგადის ერთერთ წრეში, რომელშიაც 31 მსმენელია, მეცადინეობას ესწრება 20—21 კაცი; მე-6 ბრიგადის წრეში კი 40 კაციდან 11 ოქტომბერს მეცადინეობაზე არ გამოცხადდა 18 კაცი.

ამომრჩევლების აღრიცხვა უწესოდ ჩატარდა. ამომრჩეველთა სიების შედგენა დავალებული აქვს საბჭოს მდივანს ახალაიას, რომელსაც ამომრჩევლებად აღურიცხავს 18-წლიანები ისე, რომ ნაჩვენები არ არის მათი დაბადების თვე და რიცხვი. ასეთები აღმოჩნდნენ, მაგალითად, მაკარი გოგუა, ლუკიანე გადელია და სხვ. თუ ასეთი უწესო აღრიცხვა არ გამოასწორეს, შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ისეთმა პირებმა, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი არ შესრულებიათ. ეს კი, არჩევნების დებულების თანახმად, დაუშვებელია. სიებში ნაჩვენები არ არის ზოგი ამომრჩევლის მამის სახელი (გოროზიები დარო, ეჟენი, მადანია, ილია გრიგოლია და სხვ.), აგრეთვე შეგროვილი არ არის ცნობები, თუ ვის აქვს ჩამორთმეული სამოქალაქო უფლება. ასეთები კი ამ სოფელში არიან.

**შ. ასათიანი**

## ეკვადორის პრეზიდენტის ჩამოგდება

**ნიუ-იორკი**, 25 ოქტომბერი (საკ-დესი). [illegible]

## ფასების ზრდა ფაშისტურ გერმანიაში

**ბერლინი**, 25 ოქტომბერი (საკ-დესი). [illegible]

## მასობრივი თვითმკვლელობა ფაშისტურ გერმანიაში

**ბერლინი**, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). [illegible] პოტსდამში (ბერლინის მახლობლად) მორფიუმით თავი მოიწამლეს დედამ და მისმა 11 წლის გოგონამ. ბერლინში მეოთხე სართულის ფან-[illegible]ბაში. უკანასკნელ დღეებში ბერლინში თავი მოიკლეს 21 წლის მუშა-ზეინკალმა, 20 წლის ქალიშვილმა და 24 წლის ჭაბუკმა.

## ბელგიის მთავრობის გადადგომა

**პარიზი**, 25 ოქტომბერი (საკ-დესი). როგორც ჰავასის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, ვან-ზეელანდის მთავრობამ გადადგომა ითხოვა.

## ნეგრინის დეპეშა პროფესორ ი. ბერიტაშვილს

ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა ამასწინათ თბილისში შემდგარი სრულიად-საკავშირო ყრილობის პრეზიდიუმმა ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის მეთაურს, გამოჩენილ ფიზიოლოგს — ხუან ნეგრინს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

ესპანეთიდან მიღებულია შემდეგი საპასუხო დეპეშა:

ვალენსიიდან. თბილისი. ფიზიოლოგთა საკავშირო ყრილობას — პროფ. ი. ბერიტაშვილს.

„ღრმად ნასიამოვნები ვარ თქვენი მხურვალე მისალმებით. მადლობას ვუძღვნი საბჭოთა კავშირის ფიზიოლოგების VI ყრილობას და ესპანელი ხალხის სახელით გამოვთქვამ პატივისცემას და სიმპატიას სსრ კავშირისადმი".

**ხუან ნეგრინი**
ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი

## სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსზე"

**მოსკოვი**, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). 25 ოქტომბერს დილით მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსის" მეზამთრეებმა რადიოთი გადმოსცეს მორიგი მეტეოროლოგიური ნაკრები ცნობა.

სადგურის რაიონში დილის 7 საათიდან მოწმენდილი ამინდი და შტილი იყო. თერმომეტრი უჩვენებდა 31 გრადუსს ნულს ქვემოდ.

სადგურის კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 84 გრადუსი და 13 წუთი და აღმოსავლეთ გრძედის 2 გრადუსი და 50 წუთი.

რუდოლფის კუნძულზე ამ დროს მცირე მაღალი ღრუბლიანობა იყო. დაბლობებში ნისლი იწვა. ხილვადობა იყო 2—4 კილომეტრი, ტემპერატურა—მინუს 21 გრადუსი. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰქროდა 2 ბალიანი ქარი.

## „პრავდისა" და „იზვესტიის" ტირაჟის გადიდება

**მოსკოვი**, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). საარჩევნო კამპანიის პერიოდისათვის გაზეთების „პრავდისა" და „იზვესტიის" ტირაჟები გადიდებულია 300 ათასი ეგზემპლარით. მთელი ეს დამატებითი ტირაჟი გაიყიდება მხოლოდ ცალობით (მოსკოვისა და ლენინგრადის გარეთ, სადაც საცალო ვაჭრობა ფართოდ არის ორგანიზებული). „პრავდისა" და „იზვესტიის" საცალო ვაჭრობა უნდა მოეწყოს („სოიუზპეჩატის" მიერ) ღია კიოსკებში და გაზეთების დამტარებლებთან საარჩევნო ოლქის ყველა ცენტრსა და რაიონული ცენტრების უმრავლესობაში.

## მოძრავი ფიზიოთერაპიული კაბინეტი

თბილისის პირველი გაერთიანებული დისპანსერი შეუდგა მოძრავი ფიზიოთერაპიული კაბინეტის მოწყობას. კაბინეტში იქნება რენტგენოლოგიური აპარატურა, დიათერმიული მოწყობილობანი და კვარცის ლამპები.

კაბინეტი მომსახურებას გაუწევს ავადმყოფებს, რომელთაც დისპანსერში მისვლა არ შეუძლიათ და ფიზიოთერაპიულ მკურნალობას საჭიროებენ.

მოძრავი ფიზიოთერაპიული კაბინეტი მოწყობილი იქნება ავტომობილზე.

## ქართული მუსიკის კონცერტი რადიოთი

**მოსკოვი**, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). [illegible]

## 30 ათასი ბოთლი შამპანური

[illegible] გამოუშვან 30 ათასი ბოთლი შამპანური.

1 ოქტომბრისათვის ქუთაისის შამპანური ღვინოების ქარხანამ უკვე დაამზადა 11 ათას ბოთლზე მეტი საექსპორტო შამპანური (ბაზარზე გამოსატანად). ქარხნის კოლექტივი პირობას იძლევა დაამზადოს დღესასწაულებისათვის კიდევ 8 ათასი ბოთლი.

ამ რაოდენობიდან წინასადღესასწაულო ბაზრობების დღეებში საქართველოს შამპანური ღვინოების ტრესტი გასასყიდად გამოუშვებს 15 ათას ბოთლ მაღალხარისხოვან შამპანურს.

საქართველოს ქარხნები წელს დაამზადებენ 1 მილიონ ბოთლ შამპანურს დასაყენებლად. მუხრანის და თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნებმა უკვე დაამზადეს დასაყენებლად 568 ათასი ბოთლი შამპანური. ქარხნების კოლექტივი პირობას იძლევა ვადამდე შეასრულოს წლიური გეგმა (საქდესი).

## მეორე ხუთწლედის სესხის მეოთხე ტირაჟი

**ალმა-ატა**, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). გუშინ 25 ოქტომბერს ალმა-ატაში, ძერჟინსკის სახელობის კლუბში, დაიწყო მეორე ხუთწლედის სესხის მეოთხე ტირაჟი.

ქალაქის მშრომელნი ტირაჟისადმი დიდ ინტერესს იჩენენ. კლუბის დარბაზი, სადაც გათამაშება ხდება, ხალხით არის გაჭედილი. მრავალი სესხმქონე მოვიდა ობლიგაციებით, რომლებსაც იქვე ადგილობრივ ამოწმებენ.

ტირაჟს ესწრებიან სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან — უზბეკეთიდან, ტაჯიკეთიდან, ყირგიზეთიდან, აგრეთვე ყაზახეთის სამრეწველო საწარმოთა და კოლმეურნეობათა საუკეთესო სტახანოველები.

## ბოტვინიკ-ლევენფიშის მატჩი

**მოსკოვი**, 25 ოქტომბერი (საკ-დესი). მატჩის მეცხრე პარტია დამთავრდა 25 ოქტომბერს. მე-58 სვლის შემდეგ პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიში ასეთია: 4:2 ბოტვინიკის სასარგებლოდ და სამი ყაიმი.

ლევენფიში და ბოტვინიკი 26 ოქტომბერს მიემგზავრებიან ლენინგრადს, სადაც 28 ოქტომბერს შესდგება მეათე პარტია.



წინანდლის საბჭოთა მეურნეობის პარკში დეკორატორმა ირაკლი ხმალაძემ ცოცხალი ყვავილებისაგან გააკეთა შოთა რუსთაველის პორტრეტი.
ფოტო ტორისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## საკოლმეურნეო ბაზრობაზე

თბილისის სტალინის რაიონის დახურული ბაზარი სადღესასწაულო ვაჭრობას მომზადებული შეხვდა. საქართველოს მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა ბაზარზე უხვად მოიტანეს პროდუქტები და საგრძნობლად დაკლებულ ფასებში ჰყიდიან. ბაზარი კარგად არის მორთული. წითელი დროშები და ყვავილები ამშვენებენ ფართლეულის და პირველი მოთხოვნილების სავაჭროებს. დახურული და ღია ბაზარი გაჭედილია ხალხით. თბილისის წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი იაფად იძენენ ზამთრისათვის სხვადასხვა პროდუქტებს.

თბილისის რაიონის სოფელ დიღომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ბაზრობის დაწყების პირველ დღეს 10 ათასი კილო პამიდორი მოიტანა. ბაზრობამდე პამიდორი საშუალოდ 1 მან. და 50 კაპ. ღირდა, მაგრამ დიღმელმა კოლმეურნეებმა 80 კაპეიკად გაჰყიდეს. ხაშურის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ დიდძალი კარტოფილი ჩამოიტანა და კილო 80 კაპ. გაჰყიდა, წინათ კი 1 მან. და 20 კაპ. ღირდა.

24 ოქტომბერს კოლმეურნეობებმა ჩამოიტანეს 1139 კილო ხორცი, ხოლო ერთპიროვნულმა გლეხებმა ცხვრის ხორცი 1125 კილო, ღორისა—610 და საქონლისა—2650. ხორცის ასეთმა სიუხვემ საგრძნობლად დასცა ფასი. თუ წინათ კილო 10-13 მანეთი ღირდა, ამ დღეს 7-9 მანეთამდე ფასობდა. საერთოდ წინასაოქტომბრო ბაზრობამ დიდად შეამცირა სურსათ-სანოვაგის ფასი.

25 ოქტომბერს ბაზრობაზე 8 კოლმეურნეობამ ჩამოიტანა პროდუქტები. ყველაზე მეტი პროდუქტები ჩამოიტანეს ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა. ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ლელაძე) ჩამოიტანა 6.120 ლიტრი ღვინო, 1000 კილო ყურძენი და 18 კილო ყველი. მაჭარი ლიტრი 3 მანეთად და ძველი ღვინო 4 მანეთად გაჰყიდეს. ამ კოლმეურნეობამ წელს უხვი მოსავალი მიიღო. შრომადღეზე კოლმეურნეებმა 8 კილო სიმინდი უკვე მიიღეს, ხოლო ღვინოს, ლობიოს, ფულს, სოიას, ჩალას და სხვა პროდუქტებს კიდევ მიიღებენ.

ბაზარში არის კულტურული გასართობები. უკრავს სასულე ორკესტრი, ზურნა, საზანდარი და სხვ. საექიმო პუნქტებში გლეხებს ესაუბრებიან ჯანმრთელობის საკითხებზე. კარგად არის მოწყობილი გლეხთა სახლი. „უნივერმაღმა" და „გრუზსნაბსბიტმა" დიდძალი ფართლეული მოიტანეს და კოლმეურნეობებს წინასწარი შეკვეთით აძლევენ.

ვაჭრობის გათავების შემდეგ სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები. შორეული რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეები ათვალიერებენ საქართველოს დედაქალაქს, კოლექტიურად დადიან კინოებში, თეატრებში და სხვ.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ბაზარში ხშირად ირღვევა წესრიგი. ადგილი აქვს ხულიგნობას, ქურდობას, პარპაშობენ გადამყიდველები. ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს სტალინის რაიონის მილიცია. ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ მარტო ბაზრის კომიტეტის ენერგიული ზომები არ კმარა. 24 და 25 ოქტომბერს ბაზარში მილიციის მხოლოდ ერთი თანამშრომელი იყო. სტალინის რაიონის მილიციის თანამშრომლებმა უფრო ენერგიულად უნდა იბრძოლონ უმსგავსოების წინააღმდეგ ბაზარში.

**კ. გ.**

## შ. რუსთაველის სახელობის მუზეუმი

**თბილისი**, 26 ოქტომბერი (საკ-დესი). [illegible]

**„პარტიული მშენებლობა" № 19**

[illegible]

მეთაური—ავამაღლოთ კომკავშირელთა რევოლუციური სიფხიზლე. საქ. ალკკ ცენტრ. კომიტეტის IV პლენუმის დადგენილება.

გ. ხაჭაპურიძე — დიადი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში.

ნ. ჯაში — სტალინური საარჩევნო კანონის შესწავლა (თბილისი, სტალინის რაიონი).

ი. მელქაძე — ოქტომბრის დღეებში (1905 წელი).

ლიტერატურის სია საკ. კ.პ. (ბ) ისტორიისათვის.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის მუშაობის სანიმუშო გეგმა.

## შემთხვევები

— **„უნივერმაღი სახლში".** მე-5 რაიონის მილიციის თანამშრომლებმა შეიპყრეს სპეკულანტი დ. შ. დავარაშვილი, რომელიც სისტემატურად ყიდულობდა უნივერმაღში საქონელს და შემდეგ კერძო ბაზარზე გადიდებულ ფასებში ჰყიდდა. დავარაშვილს ბინის (ხარფუხის ქ., № 3) გაჩხრეკისას აღმოაჩნდა 300 მეტრამდე სხვადასხვა მანუფაქტურა, 25 წყვილი კალოში, 8 კილოგრამი ჩაი და მრავალი სხვა საქონელი. დავარაშვილმა გაქცევა დააპირა, მაგრამ შეიპყრეს. სპეკულანტი მიცემულია პასუხისგებაში.

— **დაჭრა.** პირადი უსიამოვნების ნიადაგზე გ. ი. გრიშჩენკომ (ხუთწლედის ქ. № 13) დანით მძიმედ დასჭრა მოქ. ი. გ. სუკაჩევი (ამავე ქუჩაზე მცხოვრები). დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში. გრიშჩენკო პასუხისგებაში მისცეს.

## მწერალთა კავშირში

28 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში მოწვეულია ახალგაზრდა მწერლების კრება, რომელზედაც ეკრ. ასტვაცატუროვი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „სამოქალაქო ომი მხატვრულ ლიტერატურაში".

დასწრება თავისუფალია.

## ფეხბურთი

[illegible] ტურნირმა მოსკოვის „სტალინეცსა", ბაქოს „ტემპსა" და ლენინგრადის „სტალინეცს" შორის.

## პარტკალენდარი

**ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.**

**27 ოქტომბერს**

**აგიტაციის კაბინეტი** 1) კონსულტაცია თემაზე: „ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების გამორკვევის წესი". კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. ჯიბლაძე, რუსულ ენაზე — ამხ. პანცირნაია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე; 2) კონსულტაცია სომხურ ენაზე. თემა: „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ". კონსულტანტი — ამხ. ვართაზაროვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს, 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პროპაგანდისტებისათვის ქართულ ენაზე შესდგება ამხ. ლარცულიანის მოხსენება თემაზე: „20 წლისთავი ლენინის გენიალური შრომისა — „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალაუფლებას".

დღეს, 27 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. დანელიას მოხსენება თემაზე: „ლენინ-სტალინის პარტია — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებათა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი".

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი


**თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 27/X | მუდმ. ადგ. ტალ. № 11<br>**კარმენ** |
| 28/X | მუდმ. ადგ. ტალონი № 12<br>პრემიერა ბალეტი<br>**ესმერალდა** |
| 29/X | მუდმ. ადგ. ტალ. № 13<br>ერთდრ. ბილეთის სერია № 5<br>**ევგენი ონეგინი** |

დასაწყისი 8 საათზე.

**რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
**1937—38 წ. სეზონი**

| | |
|---|---|
| 27/X | წარმოდგენა 21.<br>**გმირთა თაობა** |
| 28/X | წარმოდგენა 22.<br>**გმირთა თაობა** |
| 29/X | წარმოდგენა 23.<br>**ალკაზარ** |

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.
25 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების ტალონების გაცემა. ვისაც მეორე გადასახადი არ ექნება შემოტანილი მას ტალონები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუღალტერიაში 12 საათიდან 4 ს.-მდე.

**მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**

| | |
|---|---|
| 27/X წარმ. № 21 | **ფიგაროს ქორწინება** |
| 29/X წარმ. № 22 | **ფიგაროს ქორწინება** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.

**სახცირკი.** ტელ. 3-11-44
27 ოქტომბერს
**სა ასტროლო წარმოდგენა** განახლებული პროგრამით 3 განყოფილებად
ზაპოროჟელთა პირველი გამოსვლები, უკრაინული აკრობატულ-საცეკვაო ანსამბლი და სხვა ნომრები.
დამსახ. არტ. ძმ. **ტანტი** ახალ რეპერტუარში.
დასაწყ. 8 ს. 30 წ. სალარო 12—2 ს. და 5 საათიდან.
30 ოქტ. წარმოდგენა დღისით განახლებული პროგრამით.

**თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

1 ნოემბრისათვის უნდა იყოს შემოტანილი
**მუდმივი ადგილების ერთდროული ბილეთების ყველა სერიების მეორე გადასახადი.**

5—2 50

**დაწესებულებათა და საწარმოთა მხატვრული მომსახურება ოქტომბრის XX წლისთავისათვის**

საქფილეგთთან არსებული ქართული ესტრადა 25 ოქტომბრიდან შეუდგა განაცხადთა მიღებას ოქტომბრის ზეიმის მომსახურებისათვის კონცერტების მოწყობაზე.

ქართული ესტრადა იუწყება, რომ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დადგენილებით, დღესასწაულის მომსახურების ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, ყველა არტისტი ვალდებულია გამოვიდეს კონცერტებზე მხოლოდ ქართული ესტრადის საგზურებით.

ის კონცერტები, რომლებსაც ორგანიზაციები და საწარმოები ქართული ესტრადის გეგმის გარეშე აწყობენ, გარანტირებული არ იქნებიან არტისტული ძალებით.

განაცხადები მიიღება საქფილეგთში (პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელ. 3-02-29).

55

**„გლავპარფიუმერის"**
**საჩვენებელ მაღაზიებში**

1) ა. კ. ფედერაციის მოედანი, № 1 („ტეჟე").
2) რუსთაველის პროსპ., № 34 („ლენჟეტ").

**ოქტომბრის დღესასწაულებისათვის მიღებულია უმაღლესი პარფიუმერიის, კოსმეტიკისა და უნაზესი სუნის სატუალეტო საპნის ფართო ასორტიმენტი.**

წინასწარი შეკვეთები მიიღება ტელეფონით № 3-11-86

**შეიძლება საქონლის მიტანა სახლში**

იმ შემკვეთლებს, რომლებსაც წინასწარი შეკვეთით არ მიუღიათ დუხი „კრასნაია მოსკვა", დუხი და ოდეკოლონი „ლენჟეტი", „მანონი" და სხვ., ვთხოვთ შემოიარონ მისაღებად—ზემოთ ნაჩვენები მისამართით.

1744


**აპ. ნუცუბიძე**

# საით მივყევართ აგრესორებისადმი წაყრუებას

ერთა ლიგის პლენუმზე ამხ. **ლიტვინოვი** უდიდესი სიცხადით აღნიშნავდა აგრესიის ძალების ზრდას და ამჟღავნებდა საყოველთაო მშვიდობიანობის დარღვევის უტყუარ ფაქტებს, რასაც ადგილი აქვს აგრესორთა თვითნებობისა და თავაშვებულობის შედეგად. „აგრესია თეორიასა და მოქმედებაში, — ამბობდა ამხ. ლიტვინოვი, — არა თუ არ გამქრალა, არამედ, პირიქით, მან კიდევ უფრო მაღლა წამოჰყო თავი, უფრო უტიფრად გვიჩვენებს თავის უმსგავსო სახეს და პოულობს სულ ახალ-ახალ და უფრო ხშირ გამოხატულებას უფრო და უფრო მკვეთრი ფორმებით".

რა ამოქმედებს აგრესორებს? რით არის გამოწვეული აგრესორ სახელმწიფოთა (გერმანია, იტალია, იაპონია) საერთაშორისო ყაჩაღობის ასე სწრაფი ზრდა?

აქ შემდეგი მთავარი გარემოება თამაშობს მნიშვნელოვან როლს.

პირველი — დაპყრობილი ქვეყნების გადაპყრობის „აუცილებლობა". ამ საქმეში აგრესორი ქვეყნები ძირითად „მამოძრავებელ ძალებად" ითვლებიან. ფაშისტურ გერმანიას არასგზით არ შეუძლიან შეურიგდეს მის მიერ კოლონიების დაკარგვას იმპერიალისტური ომის დროს. ჰიტლერი ამჟამად არა მარტო დაკარგული კოლონიების უკანვე მიღებას მოითხოვს, არამედ ებლაუჭება ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების კოლონიებს. ამასთანავე ჰიტლერი უახლოეს ამოცანად ისახავს მცირე ნაციების გადაყლაპვას „მესამე იმპერიის" მიერ და მთელი ევროპის რეორგანიზაციას მასზე თავისი ჰეგემონიის დამყარების მიზნით. მუსოლინი ოცნებობს ბრიტანეთის იმპერიის ნამსხვრევებზე აღადგინოს ძველი რომის ძლიერება, იაპონიას სურს მთელი აზიის ხელში ჩაგდება და უძლიერეს იმპერიად გადაქცევა. ამ მისწრაფებათა საფუძველზე დაიწყო აგრესია ფაშისტური ქვეყნების მხრივ.

მეორე — ფაშისტურმა ქვეყნებმა დაიწყეს აგრესია, გასთელეს საერთაშორისო სამართლიანობის ნორმები, მაგრამ მათი ყაჩაღობის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა ქვეყნებმა არ გადასდგეს გადამჭრელი ნაბიჯები, არ გასცეს აგრესორებს სათანადო პასუხი. ამ გარემოებამ აგრესორთა ძალები კიდევ უფრო გაათამამა, წაახალისა, და გადააქცია ისინი რეალურ საშიშროებად საყოველთაო მშვიდობიანობისათვის.

ფაქტი პირველი: 1935 წლის მარტში გერმანიამ აშკარად დაარღვია ვერსალის ხელშეკრულება, შემოიღო საყოველთაო სამხედრო ვალდებულება. 1936 წლის 7 მარტს მანვე დაარღვია ვერსალის ხელშეკრულების მეორე პუნქტი — პროვოკაციულად შეიჭრა რეინის რემილიტარიზებულ ოლქში და დაიკავა ის.

მერე რა სასჯელი მიიღო ამისათვის გერმანიამ? დემოკრატიული ქვეყნების პრესაში და კერძოდ ვერსალის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის შეიქნა მითქმა-მოთქმა, გაიმართა მიწერ-მოწერა, დადგა ცალიერი სიტყვების კორიანტელი. ეს იყო და ეს. ამით გათავდა ყველაფერი.

ფაქტი მეორე: იტალიამ აბისინიის დაპყრობის დიდი ხნის სურვილი 1935 წლის შემოდგომაზე რეალობად აქცია, შეიარაღებული ძალებით შეიჭრა აბისინიის ტერიტორიაზე და უმოკლეს ვადაში დაიპყრო ის.

მერე რა სასჯელი მიიღო ამისათვის იტალიამ? იტალია — აბისინიის ომის მთელ პერიოდში დასავლეთის დემოკრატია ფაქტიურად სდუმდა. მარტო საბჭოთა კავშირმა აღიმაღლა ნამდვილად ხმა იტალიის მიერ აბისინიის მტაცებლური დაპყრობის წინააღმდეგ. იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობამ და მუსოლინის მუქარამ, რომ მიმართავდა ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის ფლოტზე საჰაერო თავდასხმებს, ინგლისი აიძულა დათმობაზე წასულიყო, ინგლისმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი იტალიისათვის სანქციის მოხსნის სასარგებლოდ და ბოიკოტი გამოუცხადა ერთა ლიგის იმ ღონისძიებებს, რომლებიც ნაწილობრივ მიმართული იყო აგრესორის წინააღმდეგ.

ფაქტი მესამე: 1936 წლის 17 და 18 ივლისს ესპანეთში კანონიერი რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ იფეთქა ერთი მუჭა მოსყიდულ, სამშობლოს მოღალატე ფაშისტ გენერლების ამბოხებამ. ეს ამბოხება მოწყობილი იყო იტალიის და გერმანიის მიერ. იტალიამ და გერმანიამ, რომლებმაც კავშირი დაამყარეს პორტუგალიასთან, ამბოხების პირველ ხანებშივე უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს ესპანელ მეამბოხეებს სამხარი საჭურველითა და ამუნიციით, ხოლო შემდეგ ცოცხალი ძალით — რეგულარული ჯარებით. ერთა ლიგის პლენუმზე ნეგრინის განცხადების თანახმად, მეამბოხეთა მხარეზე ამჟამად იბრძვიან იტალიისა და გერმანიის ჯარები—რიცხვით 150 ათასი კაცი. ჯარებისა და საომარი საჭურველის გზავნა იტალიისა და გერმანიის მიერ ფრანკოსათვის დღესაც გრძელდება.

მერე რა სასჯელი მიიღეს ამისათვის იტალიამ და გერმანიამ? დასავლეთის დემოკრატიამ, ინგლისის ჩათვლით, პირველ ხანებში თვალები დახუჭა, არ უნდოდა დაენახა, რომ იტალია და გერმანია ერევიან ესპანეთის შინაურ საქმეებში. მაგრამ ფაქტები ჯიუტი რამ არის. როდესაც იტალიისა და გერმანიის ყაჩაღობა ესპანეთის მიმართ საბჭოთა კავშირის ენერგიული მეთვალყურეობით და საქმიანობით ყველასათვის აშკარა გახდა, დასავლეთის დემოკრატიამ ამას უპასუხა „ლონდონის ჩაურევლობის კომიტეტის" დაარსებით. რა თქმა უნდა, „ჩაურევლობის" კომიტეტის დაარსება მხოლოდ თვალთმაქცური ფარსი იყო, რომელმაც კიდევ უფრო გაათამამა და წაახალისა აგრესორები ესპანეთის შინაურ საქმეებში ჩასარევად. „ჩაურევლობის კომიტეტი" დღემდის განაგრძობს არსებობას და მთელი თავისი მუშაობის მანძილზე მას ერთხელაც არ უცდია აგრესორების წინააღმდეგ რაიმე გადამჭრელი ზომები მიეღო. „ჩაურევლობის კომიტეტი" აგრესორების მიმართ თავიდანვე წაყრუების გზას ადგა და ფაქტიურად ხელს უწყობდა ესპანელ მეამბოხეთა ბრძოლას ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ.

„ჩაურევლობის კომიტეტის" სენით დაავადდა ერთა ლიგაც. გაზრდილი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთა ლიგამ გამოამჟღავნა სრული უძლურება. ამის გამო დაისვა საკითხი ერთა ლიგის რეორგანიზაციისა და მისი პრესტიჟის აწევის შესახებ. მართალია, უკანასკნელ ხანებში ერთა ლიგამ რამდენადმე უმატა აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ მისი პრესტიჟის სრული აღდგენისაგან. ჯერჯერობით ის გადაწყვეტილებებიც კი, რომლებიც ერთა ლიგამ უკანასკნელ პლენუმზე მიიღო, აგრეთვე ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა 23-ის კომიტეტში და მეექვსე პოლიტიკურ კომისიაში, ქაღალდზე რჩება. „ლონდონის ჩაურევლობის კომიტეტისა" და ერთა ლიგის წაყრუებამ აგრესორებისადმი გერმანიას და იტალიას ახალი მოკავშირე შესძინა აზიაში.

ფაქტი მეოთხე: აგრესიის შეუზღუდველობით გათამამებულმა იაპონიამ ჯერ კიდევ ამ 6 წლის წინათ ყაჩაღურად დაიკავა მანჯურია და შიდა-მონღოლეთის ტერიტორიის ნაწილი — უეხეს მთელი პროვინცია და ჩრდილოეთ ჩახარის 6 მაზრა. გერმანიისა და იტალიის აგრესიებით კიდევ უფრო გათამამებული იაპონია მიმდინარე წლის 7 ივლისს თავს დაესხა ჩრდილოეთ ჩინეთს. ოპერაცია „ადგილობრივი კონფლიქტის" სახით დაიწყო ლიუკოუცზიაოდან და მალე სხვა რაიონებშიც გადავიდა. სამ თვეზე მეტია, რაც გრძელდება იაპონიის აგრესია ჩინეთში. იაპონიამ დაიპყრო ხებეის პროვინცია მისი უმნიშვნელოვანესი ცენტრებით — ბეიპინით, ტიანძინით და ბაოდინით. გარდა ამისა, იაპონია შეიჭრა შანსისა და შანდუნის პროვინციების ტერიტორიაზე. იაპონიის ავიაცია სისტემატურად უშენს ყუმბარებს ჩინეთის დაუცავ ქალაქებსა და მშვიდობიან მოსახლეობას. იაპონიამ აშკარად დაარღვია ვაშინგტონის ხელშეკრულება.

მერე როგორ უპასუხეს იაპონიის აგრესიას დემოკრატიულმა ქვეყნებმა? რა სასჯელი მიიღო იაპონიამ თავისი მხეცური საქციელის გამო ჩინეთში? რა თქმა უნდა, აქაც ვხედავთ წაყრუებას აგრესორისადმი. კიდევ მეტი: 23-ის კომიტეტში, რომელიც სპეციალურად იხილავდა ჩინეთ-იაპონიის საკითხებს, მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა იაპონია არ სცნეს აგრესორად, სანამ საბჭოთა კავშირის დელეგაციის კატეგორიული მოთხოვნით და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციის მხარის დაჭერით მიღწეული არ იქნა იაპონიის აგრესორად აღიარება, ეს იმ დროს როდესაც თვით იაპონია არ ჰფარავს, რომ ყუმბარებს უშენს ჩინეთის ქალაქებს და აწარმოებს ომს ჩინეთში. ძნელია აგრეთვე იმის თქმა, თუ რა ღონისძიებებს მიიღებს 9 სახელმწიფოს კონფერენცია, რომელიც ამ უახლოეს მომავალში განიხილავს იაპონიის მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების დარღვევას და იაპონია—ჩინეთის საკითხებს. ერთი კი უდაოდ შეიძლება ითქვას: რაიმე გადამჭრელ ღონისძიებას იაპონიის აგრესიის აღსაკვეთად ჩინეთში არც ამ კონფერენციიდან უნდა მოველოდეთ.

ასეთია აგრესიის ძალთა თავაშვებულობის ფაქტები და ის წაყრუება, რომელსაც ამ ძალების მიმართ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები იჩენენ.

აღსანიშნავია, რომ, რაც დრო გადის, აგრესორები ცალცალკე აღარ გამოდიან მშვიდობიანობის წინააღმდეგ, ისინი გამოდიან „კოლექტიურად", „შეთანხმებულად", მათ შორის იქმნება (შექმნილიც არის) ბლოკი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ აგრესორთა ბლოკი. ისინი თავის გავლენას უმორჩილებენ მეორეხარისხოვან სახელმწიფოებს. გერმანიისა, იტალიისა და იაპონიისათვის აგრესია გადაიქცა ნაციონალური პოლიტიკის იარაღად. ამ იარაღით მათ, დემოკრატიული ქვეყნების წაყრუების შედეგად, კაცობრიობა მიჰყავთ ახალი მსოფლიო ომისაკენ.

ფაშისტური ქვეყნები სასტიკად ებრძვიან ყველა ღონისძიებას, რომელიც რამდენადმე მაინც აბრკოლებს ომის უშუალო გაჩაღებას. გერმანიისა და პოლონეთის ზეგავლენით ჩაიშალა აღმოსავლეთის პაქტი, გერმანია და იტალია ყოველ ღონეს ხმარობენ მცირე და ბალკანეთის ანტანტის დასაშლელად. იაპონიამ ჩაშალა წყნარი ოკეანის პაქტის განხილვა. ამ დამარღვეველ მუშაობასთან ერთად ფაშისტური ქვეყნები ურთიერთ შორის ჰკრავენ სამხედრო კავშირს. ასეთი კავშირი არსებობს გერმანიასა და იაპონიას შორის, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დამყარდა გერმანიასა და იტალიას შორის („ღერძი—რომი—ბერლინი"). ასეთი კავშირი ხელმოწერისა და გაფორმების პროცესშია იტალიასა და იაპონიას შორის. ვინ იცის კიდევ რამდენი ასეთი კავშირისა და თანამშრომლობის პერსპექტივებს დასახავენ ფაშისტური ქვეყნები მომავლისათვის.

აქედან ადვილი დასანახავია, თუ საითკენ მივყევართ ფაშისტური ქვეყნების აგრესიული ძალების ზრდას. ფაშისტები აჩაღებენ ახალ მსოფლიო ომს, ფაშისტები ამზადებენ ახალ ხოცვა-ჟლეტას. ამ გარემოების წაყრუება ყოვლად დაუშვებელია, წაყრუება უდიდეს დანაშაულს უდრის. მთელი მოწინავე კაცობრიობა უნდა აღსდგეს აგრესიის ძალების წინააღმდეგ, საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, კოლექტიური უშიშროების დასაცავად.


მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო მეურნეობის — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 66. მთავლიტის რწმუნებული მ—8348